საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცქვაა, ფაფიოლებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი. 2016 წ. №186 (8077), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გუშინ, 5 ოქტომბერს, ნაციონალთა წინასაარჩევნო ერთობ გამეჩხერებულმა მიტინგმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ოდესის ლეგიონი არჩევნებს პირწმინდად აგებს. თუმცა, „ცრუსთავი-2“, ჩვეულებისამებრ, ამ მორიგ დამარცხებასაც გამარჯვებად გამოაცხადებს!

2004 წელს „რუსთავი-2“-მა იმდენი იდარდუბალა, სანამ წინა ხელისუფლება უცხო მავნე ძალების დახმარებით არ დაამხო და თავის თავს გამარჯვებული ხალხის ტელევიზია არ უწოდა. ეს ეშმაკეული პარტიული ტელეარხი ისევ ჩვეული ძალადობრივი გზით გველის ხვრელში ძვრება, რომ კვლავ დაბრუნდეს ხელისუფლებაში და აღადგინოს სისხლიანი ჟანდარმული რეჟიმი.

ხალხმა მაშინ გაიმარჯვა კი არა, მწარედ დამარცხდა და მთელი ცხრა წელიწადი ჯვარზე გაკრულმა ძლივს შეინარჩუნა სული. ხალხმა ახლა, 2016 წლის არჩევნებში ნამდვილად უნდა გაიმარჯვოს, უფრო სწორად, პერანგგამოცვლილ გველს ყოველგვარი პოლიტიკური და სახელისუფლებო მადა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუკარგოს, ხოლო ქვეყნის დამაქცევარი და მხოლოდ პირადული გამდიდრების ყაჩაღური ჟინით შეპყრობილი ნაციონალების ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი, უკვე ჟანგიანი სიცრუის ბუკი და ნაღარა, ანუ „რუსთავი-2“ ბოროტებაზე გამარჯვებული ხალხისგან სამუდამოდ დამარცხებულ ტელევიზიად უნდა გამოცხადდეს!

უბოროტესად დამნაშავე ნაციონალები ხელისუფლებაში კი არა, ქვეყანაშიც აღარ უნდა იყვნენ!

სააკაშვილსა და ნაცმოძრაობის ლიდერებს შორის ძველი თუ ახლახან გამომზეურებული სატელეფონო ჩანაწერების საფუძველზე, რომელთაგანაც მხოლოდ ბოლო ჩანაწერის ნამდვილობა უარყვეს ცოტათი აფორიაქებულმა და შეშინებულმა ნაცებმა (იმ ჩანაწერის, სადაც შეიარაღებული გადატრიალებისთვის მზადებაზეა საუბარი), ნორმალურ ხელისუფლებას დიდი ხნის დაპატიმრებული უნდა ჰყავდეს ეს ლიდერები, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არამარტო მოხსნილი არჩევნებიდან, არამედ, საერთოდ, აკრძალული, როგორც პარტია, ნაცრეჟიმი კი — გასამართლებული!

მიროსლავ ლაიჩაკი: საქართველოს ყველა მოქალაქეს კარგი ამბავი უნდა ვაცნობო!

ევროკავშირის საბჭოს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტმა, ევროკავშირის ყველა 28 წევრის შემადგენლობით, „მწვანე შუქი“ აუნთო საქართველოს ვიზალიბერალიზაციას, — ამის შესახებ ევროკავშირის

თავმჯდომარე ქვეყნის, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიროსლავ ლაიჩაკმა ბრიუსელში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ჩვენ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანას, გადმოგვცეს მანდატი, დავასრულოთ მოლაპარაკებები ევროპარლამენტთან. ეს ასევე კარგი ამბავია ჩვენთვისაც, რადგან სლოვაკეთისთვის საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის მიღწევა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იყო. ახლა ჩვენ ევროპარლამენტის კონსტრუქციული მიდგომის იმედი გვაქვს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მთელ ამ პროცესს ძალიან მალე დავამთავრებთ წარმატებით“, — აღნიშნა მიროსლავ ლაიჩაკმა და აღნიშნა, რომ ახლა გადაწყვეტილება ევროპარლამენტმა უნდა მიიღოს.

„ჩვენ, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, მივიღეთ მანდატი და ევროპარლამენტთან მოლაპარაკებებს დაუყოვნებლივ ვიწყებთ. მსურს, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მიზანია, ფორმალური პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. როგორც კი ეს მოხდება, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ გამგზავრებას ევროპაში, უვიზოდ და იქ 90 დღემდე დარჩენას. თუმცა, ახლა გადაწყვეტილება ევროპარლამენტზეა დამოკიდებული. ჩვენ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა, გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს“, — აღნიშნა ლაიჩაკმა.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ **განვითარებისა და ინფარასტრუქტურის მინისტრი ხონში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ვანისა და ხონის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გრიგოლ ლილუაშვილის შუამდგომლობით იმ სოფლის მოსახლეობას შეხვდა, რომლებსაც ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვთ.**

ნოდარ ჯავახიშვილმა მოსახლეობასთან ერთად დაათვალიერა ყველა ის ადგილი, სადაც გარკვეული ტიპის სამუშაოებია ჩასატარებელი, კონკრეტულად კი ის გაეცნო სოფელ ძეძილეთის პრობლემას, სადაც ადგილობრივები ე.წ. ბონდის ხიდის რეაბილიტაციას ითხოვენ, ნოდარ ჯავახიშვილმა ასევე დაათვალიერა სოფელ მათხოჯში მდინარე ცხენისწყლის სანაპირო, სადაც ნაპირსამაგრი სამუშაოებია ჩასატარებელი. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული სამუშაოები იგეგმება სოფელ გორდსა და კინჩხაში.ინფარასტრუქტურის მინისტრი „ქართული ოცნების“ კანდიდატთან ერთად სოფელ ქუტირის მოსახლეობასაც შეხვდა, რომლებსაც საკანალიზაციო სისიტემის პრობლემა აქვთ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ - ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲤᲝᲠᲣᲛᲘ ᲓᲝᲰᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი ოფიციალური ვიზიტით კატარის დედაქალაქს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა. დოკუმენტი საქართველოსა და კატარის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის გაფორმდა.**

დოკუმენტის მიხედვით, მხარეები ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების ხელშეწყობად აქტიურად ითანამშრომლებენ. დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები და პროექტები – მოხდება ინფორმაციის მუდმივი გაცვლა. გარდა ამისა, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორივე პალატის თანამშრომლებით იქნება დაკომპლექტებული. სწორედ

ეს ჯგუფი იქნება პასუხისმგებელი მემორანდუმის ფარგლებში გაწერილი პირობების შესრულებაზე.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხრიდან მემორანდუმს ხელი პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა, ხოლო კატარის პალატის მხრიდან ვიცე-თავმჯდომარემ მოჰამედ ბინ აჰმედ ბინ ტოუარ ალ კუარიმ მოაწერეს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში საქართველო-კატარის ბიზნესფორუმიც დაიგეგმა, სადაც ქართველ მეწარმეებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ მათთვის საინტერესო ბიზნესსფეროების წარმომადგენლებს კატარის მხრიდან და მათთან ერთად განეხილათ სამომავლო საქმიანი ურთიერთობები.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 94 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲑᲐ

„ᲝᲠᲘᲕᲔ **მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური სამუშაოს შედეგად, ჩვენ შევძელით და უმოკლეს დროში, 7 თვეში, დავასრულეთ მოლაპარაკებები ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭ-**



რობის შეთანხმებაზე,“ – განაცხადა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე. მან ჩინეთის მხარეს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას გამოჩენილი კონსტრუქციულობისთვის მადლობა გადაუხადა.

პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, შეთანხმება მოიცავს ვაჭრობის ყველა სფეროს და ქმნის ეფექტურ ბაზისს ორი ქვეყნის მეწარმეებს შორის ურთიერთობების განვითარებისათვის, რაც, ჩვენი რწმენით, მიმართული იქნება ჩინელი და ქართველი ხალხისთვის ეკონომიკური სარგებლის და კეთილდღეობის მოტანისკენ.

„ჩინეთთან მიღწეული შეთანხმების შედეგად ჩინეთში იმპორტისას ჩვენი პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. მათ შორის არის სოფლის მეურნეობიდან ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია, როგორიცაა ღვინო, ბრენდები, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი სრულად, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული და ასევე სამრეწველო პროდუქციებიდან სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, სარეცხის მანქანები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.“ – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

დიმიტრი ქუმსიშვილის განმარტებით, საქართველოსა და ჩინეთს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრუნვის მიხედვით მე-4 პოზიციაზეა, ხოლო ექსპორტის მიხედვით მე-3 ადგილზეა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 51%-ით და საქართველოს მთლიან ექსპორტის 9% შეადგინა.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ **მაცხოვრის კარის ეკლესიაში, 1992 წლის ოქტომბერს გაგრაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიკვაიძე, წამომადგენლობის თანამშრომლები და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ესწრებოდნენ.**

თბილისში გაგრის დაცემის დღე კიდევ ერთხელ გაიხსენეს და მშენებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს საქართველოს ერიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

ასევე, იმერეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ზაზა ჩაჩავამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და დევნილმა მოსახლეობამ პატივი მიაგეს დაღუპულ მებრძოლებს და მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარში გადაიხადეს.

5 ოქტომბერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ხსოვნის დღედ გამოცხადდა.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ **დღესთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლაში ღონისძიება გაიმართა, რომელიც სკოლის დაარსებიდან 115-ე წლისთავს დაემთხვა.**

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავამაიშვილმა.

„დღეს ჩვენ გვაქვს ახალი სკოლა. ჩატარდა მე-17 სკოლის რეაბილიტაცია, სადაც არის თანამედროვე სივრცე, ახალგარემონტებული ოთახები, საკლასო ინვენტარი, სპორტული მოედანი. ამ სკოლას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მასწავლებლებს მივულოცავ პროფესიულ დღესასწაულს. ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია განათლების სექტორი, მომავალ თაობაზე ზრუნვა. დაგეგმილი გვაქვს არაერთი პროექტი. მომდევნო 4 წელი იქნება ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტებს განვახორციელებთ“, – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

ღონისძიების ფარგლებში სამინისტროს მადლობის სიგელები გადაეცა სკოლის 4 ღვაწლმოსილ პედაგოგს.

სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს“ პატრიოტი“. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 850 729 ლარი. პროექტის მიხედვით სკოლის შიდა ეზოში აშენდება ახალი სპორტული დარბაზი.

აღსანიშნავია, რომ მე-17 საჯარო სკოლის ისტორია 1902 წლიდან იღებს სათავეს. სკოლის ხანგრძლივი არსებობის მიუხედავად დღემდე არ გააჩნდა დახურული სპორტული დარბაზი. მიუხედავად ამისა, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქალაქის სპორტულ ღონისძიებებში და სხვადასხვა ჩემპიონატებში არაერთი გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

სპორტული დარბაზის მშენებლობა დასრულდება 2017 წელს.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲗᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელის მოცვის არეალის გაფართოვების პროცესი გრძელდება. ეროვნული სატელევიზიო ქსელის მფლობელმა შპს „ტელერადიო ცენტრმა“ თუშეთში, კერძოდ, აბანოს ქედზე ახალი სარელეო სადგური დაამონტაჟა. ასევე, სოფელ ომალოში დამონტაჟდა ახალი ციფრული მიწისზედა ღია საეთერო სატელევიზიო სადგური, რომელიც მზის ენერგიაზე იმუშავებს.**

ომალოს მცხოვრებლებს საშუალება აქვთ მიიღონ შემდეგი ქართული არხების გადაცემები: პირველი არხი (მაღალი და სტანდარტული ხარისხით), მეორე არხი, აჭარის ტელევიზია.

ტელემაუწყებლობის მისაღებად აუცილებელია სეტ ტოპ ბოქსი და დეციმეტრული დიაპაზონის ანტენა.

თუშეთში მიწისზედა ღია საეთერო ტელემაუწყებლობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეწყდა. რთული გეოგრაფიული მდებარეობის და მკაცრი კლიმატური პირობების გამო სატელევიზიო სიგნალის გადამცემი მოწყობილობების ფუნქციონირება წლების განმავლობაში ვერ ხორციელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელის ჩრდილოვანი ზონების დაფარვის მიზნით სამუშაოები უკვე დასრულებულია და გადამცემები ჩართულია შემდეგ გეოგრაფიულ პუნქტებში: ანანური, ბარისახო, გუდაური, სნო, ფასანაური, ქვეშეთი, წიფორი, ჭართალი (მცხეთა-მთიანეთი); კასპი (შიდა ქართლი), მრავალძალი (რაჭა), ურთა (სამეგრელო) და ტალახა (გურია). სამუშაო პროცესი გრძელდება შემდეგ გეოგრაფიულ პუნქტებში: არბოშიკი (კახეთი), არხოტი, მაღაროსკარი, ჩარგალი, მცხეთა (მცხეთა-მთიანეთი), კოჯორი (თბილისი), მანგლისი (ქვემო ქართლი), მუწდი (სვანეთი), პანკისი (კახეთი), პატარა ონი (რაჭა), ღოდორა და ხარაგაული (იმერეთი).

ვინ დაფეთქა გივი თარგამაძე?



...ფრთხილად **ზუსტად დადგენილი, სამართავი პულტით განხორციელდა აფეთქება (როგორც თავად თარგამაძე აცხადებს) თუ ვიღაცამ მანქანის უკანა ძარის ქვეშ პლასტიდით, მაგნიტით ან სხვა საშუალებით მიამაგრა შეყოვნებული მოქმედების ნაღმი. თავის მხრივ, ასეთი ნაღმი შეიძლება რეაგირებდეს მანქანის მოძრაობაზე (ვთქვათ დამუხრუჭებაზე) ან მუშაობდეს ტაიმერით.**

ბოლო ვარიანტი ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან ბოროტმოქმედებს სწორედ თარგამაძის მოკვლა სჭირდებოდათ და ზუსტად უნდა სცოდნოდათ, რომ ის მართლა იჯდა მანქანაში, ხოლო მანქანა მოძრაობდა.

ძალიან უცნაურია, რომ დაუჯავშნავი მანქანა დაინგრა, მაგრამ არ დაიწვა. როგორ არ მოხდა საწვავის ავზის სრული დეტონაცია აფეთქების შედეგად? ასეთ დეტონაციას კი უეჭველად მოჰყვებოდა ისეთი ძალის ხანძარი, რამდენიმე სახანძრო მანქანა იქნებოდა საჭირო, როგორც 1995 წლის 29 აგვისტოს, როდესაც პარლამენტის ეზოში აფეთქდა მანქანა, — როდესაც გვერდით შევარდნაძის ლიმუზინმა ჩაიარა.

მიუხედავად იმისა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის ლიმუზინზე კი არ იყო მიმაგრებული, არამედ სხვა მანქანაზე, აფეთქების ტალღამ ლიმუზინის საწვავის ავზის დეტონაცია გამოიწვია!

აქედან გამომდინარე, შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას, რომ თარგამაძე მართლა ბეწვზე გადარჩა. კიდევ იმიტომაც, რომ მძღოლის გვერდით იჯდა და არა უკანა სავარძელზე.

* * *

დისტანციური **მართვის პულტით აფეთქების ვერსია თუ მართალია, მაშინ განსაკუთრებული ცინიზმითა და თავხედობით ჩადენილ დანაშაულთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ტერაქტის მომწყობებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ის ტერიტორია, სადაც უამრავი დაწესებულებაა, ათეულობით სათვალთვალო კამერით კონტროლდება, ანუ „მიმყოლი მანქანა“ აუცილებლად დაფიქსირდებოდა.**

ამიტომ, ყველაზე მეტად სარწმუნო მაინც ის ვერსია ჩანს, რომ მანქანაზე დამაგრეს მაღალტექნოლოგიური „ჯოჯოხეთის მანქანა“, რომელიც თვით მანქანის მოძრაობაზე რეაგირებდა.

ვის შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა? წინასაარჩევნო ბრძოლა გადადის ომში, რომელსაც უმოწყალო კანონები აქვს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მმართველი პარტიის ლიდერმა ლამის პირდაპირ დაადანაშაულა ამ ტერაქტში ოდესის გუბერნატორი და ენმ - ს მოქმედი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი!

კერძოდ, გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა: „ვისაც არ უნდა ჩაედინა ეს დანაშაული, რომელი ქვეყნის მოქალაქეც არ უნდა იყოს...უმკაცრესად დაისჯება!“

ამაზე „მსხვილი ნამიოკი“ წარმოუდგენელია: „...რომელი ქვეყნის მოქალაქეც არ უნდა იყოს.... “ — სწორედაც პირდაპირი მინიშნებაა სააკაშვილზე და ყველამ ასე გაიგო, თავად სააკაშვილისა და „ნაციონალთა“ ლიდერების ჩათვლით.

მით უმეტეს, ეს განცხადება თავსდება იმ კონტექსტში, რომ „მოსალოდნელია არეულობა“, რომ „იგეგმება რევოლუცია...“ ანუ იგულისხმება, რომ გივი თარგამაძის მსხვერპლად შეწირვას აპირებდნენ ვითომ, რათა შემდეგ ეს საბაბად გამოეყენებინათ რევოლუციისათვის.

მეტისმეტად რთული „კონსტრუქციაა“.

მაგრამ არც ისაა ნაკლებად რთული და არადამაჯერებელი, რომ, თითქოს, „ოცნება კლავდა თარგამაძეს“.

მორალი ან ამაზე „წამსვლელ-არწამსვლელობა“ არაფერ შუაშია: ძველი ლათინები, რომელთა გენიალურ გამოცდილებას თითქმის არასდროს ვითვალისწინებთ საქართველოში, ახლაც გვირჩევენ ასეთ შემთხვევებში დავსვათ კითხვა: qui prodest? ანუ ქართულად — „ვის აწყობს?“

* * *

რაში „აწყობდა“ ხელისუფლებას გივი თარგამაძის აფეთქება? მისი ან მისი თანაპარტიელების დასაშინებლად? აშკარა სისულელეა!

კიდევ ვიმეორებ: თარგამაძე მართლა ბეწვზე გადარჩა. უკან რომ მჯდარიყო, საბედისწერო არჩევნები მისი პანაშვიდის თანხლებით გაიმართებოდა. მაშასადამე, მეორე კითხვა უფრო რელევანტურია: რას მოუტანდა ხელისუფლებას, რა სარგებელს მისცემდა, თუ შაბათის არჩევნები ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის ბობოქარი გასვენების ფონზე ჩაივლიდა, — სავსებით სამართლიანი და გასაგები ბრალდებებით, პირდაპირი ჩართვებით სამგლოვიარო მსვლელობიდან და ა.შ და ა.შ?

ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების მარცხი იქნებოდა გარდაუვალი, რადგან ეს ტრაგედია დაახლოებით ისეთივე შოკის როლს შეასრულებდა, როგორც ციხის კადრებმა შეასრულა — 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ანუ, სულაც არ უნდა გამოირიცხოს „მესამე“ ან „მეოთხე“ ძალის ვერსია. მით უმეტეს, რომ გვაქვს მკაფიო ისტორიული მაგალითი: 10 წლის წინათ, როდესაც თბილისში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, ხოლო სიტუაცია არანაკლებ ფეთქებადი იყო, ვლადიკავკაზიდან ჩამოსულმა ოსმა (საქართველოდან ლტოლვილი იყო), რომელიც აშკარად რუსული სპეცსამსახურების მითითებით მოქმედებდა, კინაღამ მოკლა ოპოზიციონერი საკუთარი კარის ზღურბლთან. მიზანი ქვეყანაში ვითარების არევა იყო და არა რომელიმე მხარის გამარჯვება. შესაძლოა, ასეთივე სცენარია ახლაც.

* * *

კიდევ ერთი სერიოზული ვერსიით კი, გივი თარგამაძეს ჰყავდა ძალიან გავლენიანი მტრები, რომლებსაც მან თავის დროზე სისხლი გაუშრო „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის“ პროცესში და მათ ისარგებლეს არასტაბილური ვითარებით, რათა სწორედ ახლა გაესწორებინათ მისთვის ანგარიში, რაკი იცოდნენ, რომ პირად შურისძიებას პოლიტიკური ელფერი მიეცემოდა, ანუ ძველ (2004-2005 წლების დროინდელი ექსპროპრიაციების) საქმეთა ჩხრეკას ან არავინ დაიწყებდა, ან არავინ დაიჯერებდა.

დავით ავალიშვილი

◎ მოვლენის კვალზე

უცეცხლო კვამლი,

ვინ და რატომ გაუფხაჭნა რამდენიმე ადგილას ლამაზი შუბლი მჭევრმეტყველ გივია თარგამაძეს?

ნალისა პოლიტიკოსების წინააღმდეგ. ეს არის კრიმინალის შეტევა ნორმალურ პოლიტიკურ დემოკრატიულ პროცესზე... ეს არის არჩევნების წინ ქვეყანაში არეულობის მიზნით საქართველოს მტრების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია... დამნაშავეებს საკადრისი პასუხი გაეცემათ. **აუცილებლად აგებთ პასუხს კანონის წინაშე. ვერც ერთ დამნაშავეს ვერ დაიცავს ვერანაირი იმუნიტეტი ან სხვა ძვეყნის მოძალაძეობა! ყველა აგებთ პასუხს“.**

ვინ იტაცა ქუდზე ხელი?

ქურდს ქუდი ეწვისო, ამბობს ქართული ანდაზა. გეხსომებათ, როდესაც სოფელში ქურდობა მოხდა, ქურდის პოვნა გაჭირდა. მაშინ ეშმაკმა მამასახლისმა შეკრებილ სოფლის მოსახლეობაზე თავისებური ცდა ჩაატარა და შეჰყვირა — ქურდს ქუდი ეწვისო. ნაღდმა ქურდმა თავისდაუნებურად იტაცა ქუდზე ხელი.

საინტერესოა, ახლა ვინ მოიშვლიპა ქუდი? იმან ხომ არა, ვისაც, თავად დინგიანს,

სხვებიც თავისნაირი ჰგონია?

სხვა რა შეიძლება უწოდო თუნდაც ნიკა მელიას, რომელმაც განაცხადა: **„მე შემიძლია, პირდაპირ ვუწოდო უნამუსო ადამიანს, რომელიც ღამის ორ საათზე ჩაატარა ბრიფინგი და ნაციონალურ მოძრაობას დააბრალა ის, რაც მოხდა გივი თარგამაძის შემთხვევაში. ეს კი მიანიშნებს, რომ ეს ხელისუფლება, არაფორმალური ხელისუფლება, რეალობას აბსოლუტურად მოკლებულია“.**

გიორგი კვირიკაშვილმა უკადრებელი იკადრაო, დაასკვნა ბოლოს მელიამ.

თავად ყველაფრის მკადრებელთა, ყველაფერზე წამსვლელთა და ყველაფერზე ხელის მომწერთა სექტის წევრი ნაციონალი მელია რომ ამას სხვაზე იტყვის, არ უნდა გაგიკვირდეს?

ალბათ, მავანთა სწორედ ასეთმა უტიფრობა-უნამუსობამ ათქმევინა პოეტს:

რად არ გასკდები, დედამიწავ,
თან არ ჩამიტან,
ათას თახსირთან პურს რომ მაჭმევ
ერთი ჯამიდან?

მადლობა უფალს!

მართლაც, მადლობა უფალს! უწინარესად, მისი წყალობაა, რომ ამჯერად ცეცხლიც უკვამლოდ გაჩნდა **და, რაც მთავარია, ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა!**

იმედია, არჩევნებამდე მსგავსი ექსცესები არ მოხდება. მერე კი, როცა ახალი მთავრობა-ხელისუფლება დალაგდება და ხალხიც შეძლებისდაგვარად დაწყნარდება, ყველაფერი ბოლომდე გაკეთდება იმისთვის, რაც გასული ოთხი წლის მანძილზე ვერ ან არ გააკეთა „ოცნებამ“.

გიორგი გამახარია

მუდმივი ჭეშმარიტებები, მით უფრო აქსიომური, რომ არ არსებობს, ამაში ერთი მარტივი მაგალითით დაგარწმუნებთ: კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო, ოდითგან რომ გვიმტკიცებდნენ, ენდე, თუ არ არსებობს — **გივი თარგამაძის მანქანა რომ ააფეთქეს, იქ სადმე ცეცხლი და მის ჩასაქრობად მეხანძრეთა გაქაფული მუშაობა ნახეთ ვინმემ?**

არადა, მანქანას უკანა მხარე, საბარგული ჰქონდა მოგლეჯილი, სწორედ ის ადგილი, სადაც თუ გაზის ბალონი არ არის დამონტაჟებული, ბენზინით ან დიზელით სავსე ავზი მაინცაა.

როგორ გგონიათ, მათი აფეთქება ხანძარს არ გამოიწვევდა?

თუმცა თუ შემკვეთ-შემსრულებელი მარიფათიანია, შეუძლებელი, როგორც ჩანს, მართლაც არაფერია!

მართლაც შესანატრი ოპერატიულობა!

ჟურნალისტმა ბესო მახარაშვილმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა:

„აფეთქების ადგილიდან 200 მეტრში ვცხოვრობ და ორიოდ წუთში იქ ვიყავი. რომ მივედი, ვიღაც ოპერატორი კამერით ხელში უკვე ადგილს იღებდა... საინტერესოა... პატრულსა და სახანძროზე ადრე პარტიის წევრები მოვიდნენ და ესეც მათს ოპერატიულობაზე მეტყველებს“.

ხომ ვერ გვეტყოდით, რომელ პარტიასა და იმის წევრებს გულისხმობდა პოსტის ავტორი?

ქვეყანაც რომ დაიქცეს...

აქსიომური ჭეშმარიტებები არ არსებობს-მეთქი, ზემოთ ვთქვი, მაგრამ განა ყველა სიბრძნეზეა ეს ნათქვამი! აი, თუნდაც ისეთზე, ძველ რომში რომ იყო ურყევ მაქსიმად მიჩნეული: **ქვეყანაც რომ დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდესო!**

განა სხვა რამეს გულისხმობდა პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც ამ გაუმართლებელ ფაქტთან დაკავშირებით ბრიფინგზე თქვა: **„ეს არის ბრძოლა კრიმინალისა საზოგადოების წინააღმდეგ, კრიმი-**

უბოროტესად დამნაშავე ნაციონალები ხელისუფლებაში კი არა, ქვეყანაშიც აღარ უნდა იყვნენ!

ვის მივცეთ ხმა? საკითხავი აი ეს არის, ჭეშმარიტად! თითქოსდა, პოლიტიკაში ყველანი კარგად ვერკვევით, მაგრამ არჩევანში, აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, მაინც მწარედ ვტყუვდებით. მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი, რა თქმა უნდა, სატელევიზიო არხებით, განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ით ჩვენი ტვინების მიზანმიმართული გამორეცხვაა. ასეა მთელ მსოფლიოში, ზოგან მეტად და ზოგან ნაკლებად, რასაც, სამწუხაროდ, ვერსად ვერ წაუვალთ.

პარტიის ან კანდიდატის შერჩევის დროს, ცხადია, მათი ლამაზ-ლამაზი დაპირებებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ცუდს და მიუღებელს არავინ არ ჰპირდება ამომრჩეველს. პარტიების სამოქმედო პროგრამებს კი ამომრჩევლების 1-2 პროცენტი თუ ეცნობა მხოლოდ. ამიტომ, სწორი არჩევანის გასაკეთებლად სხვა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. **აუცილებელია, ვიცოდეთ მთავარი – თუ როგორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას ემხრობა ესა თუ ის პარტია.** ამის დაზუსტება ძალიან ადვილად მოხერხდებოდა, წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტებს აბსოლუტურად იდენტური კითხვები რომ დაესვათ მეტ-ნაკლებად რეიტინგული პარტიების (ასეთები 15-მდე თუ იქნება მხოლოდ) ლიდერებისთვის და მათთვის არა ორჭოფული, არამედ ნათელი და პირდაპირი პასუხები მოეთხოვათ. ეს კითხვა-პასუხები დაიბეჭდებოდა მასობრივი ტირაჟით, გავრცელდებოდა საქართველოს ყველა რაიონში და 3 600-ვე საარჩევნო უბნის მოსახლეობას მოიცავდა. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა და, დიდი ალბათობით, არც მომავალში გაკეთდება. რატომ? იმიტომ, რომ **არავის არ აწყობს ვითარებაში გარკვეული, ჩახედული ამომრჩეველი, მას თავგზააბნეული ურჩევნია.** ისღა დაგვრჩენია, რომ ყოველმა ჩვენგანმა შეძლებისდაგვარად გაიხსენოს პარტიების პოზიციები საშინაო და საგარეო საკითხებზე და ხმის მიცემისას სწორედ ამით იხელმძღვანელოს, მათი პოზიციებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს, თუ ვის, რომელ პარტიას დაუჭიროს მხარი. **ვიმეორებ, პოზიციებია მთავარი და არა დაპირებები პენსიების, ხელფასების თუ სამუშაო ადგილების გაზრდის თაობაზე.** თუ ვიხელმძღვანელებთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე ამ პარტიების ლიდერების მიერ სხვადასხვა დროს გაცემული პასუხებით, მაშინ შედარებით ნორმალურ პარლამენტს მივიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არც მომდევნო ოთხ წელიწადში შეიცვლება რამე არსებითად. კითხვები უამრავია დაგროვილი, განსაკუთრებით საშინაო საკითხებზე, ამიტომ მხოლოდ უმნიშვნელოვანესებს ჩამოვთვლი.

საშინაო საკითხები:

1. უნდა გასამართლდეს თუ არა ნაციონალური რეჟიმი?

2. უნდა გასამართლდნენ თუ არა (ან, მინიმუმ, სამსახურიდან იქნან დათხოვნილი) ის პროკურორ-მოსამართლეები, ვისი უკანონო გადაწყვეტილებებითაც ათეულათასობით უდანაშაულო ადამიანი მოხვდა ციხეში და ათასობით ადამიანს კი ქონება წაართვეს?

3. უნდა კონტროლდებოდეს თუ არა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსები და მათი ხარჯვის მიზანშეწონილობა?

4. უნდა გამკაცრდეს თუ არა სასჯელი და უნდა დაისაჯონ თუ არა არჩევნების გაყალბებაში მხილებული პირები, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი?

5. უნდა აიკრძალოს თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა?

6. უნდა აიკრძალოს თუ არა ერთნაირსქესიანთა ქორწინება?

7. უნდა აიკრძალოს თუ არა ბილწსიტყვაობა, დედის გინება (საკუთარის ჩათვლით!) ტელევიზიაში, პრესაში, სპექტაკლებში და ფილმებში?

8. უნდა აღუდგეს თუ არა უცხოეთში სამუშაოდ წასულ ყველა ქართველს ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობა?

9. უნდა აიკრძალოს თუ არა ქართული მიწების გაყიდვა უცხოელებზე (უცხოელებში არ იგულისხმებიან უცხოეთში მცხოვრები ქართველები)?

10. უნდა აიკრძალოს თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტის შემოტანა?

დასკვნა ძალიან ადვილი გამოსატანია ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის: **პარტიას, რომელიც ამბობს ერთ „არას“ მაინც, ხმა არ უნდა მივცეთ, მორჩა და გათავდა!**

საგარეო საკითხები:

1. ნატოში არ გვიღებენ და რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ ვერც ვერასოდეს მიგვიღებენ, მაგრამ რომც გადაწყდეს ჩვენი მიღება, დადგება თუ არა საქართველო რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის და სრული ოკუპაციის საფრთხის წინაშე?

2. საფრთხის შემცველია თუ არა ჩვენთვის ნატოს ბაზების (სამხედრო შენაერთების) მოპატიჟება საქართველოში?

3. უნდა ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით?

4. უარი უნდა ვთქვათ თუ არა საერთოდ სამხედრო ბლოკებში შესვლაზე?

5. უნდა აღდგეს თუ არა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა?

ამ შემთხვევაშიც ერთი „არა“ საკმარისია იმისთვის, რომ ამ პარტიას მხარი არ დავუჭიროთ.

ახლა, რაც შეეხება არჩევნების შედეგებს. ყველას კარგად მოგვეხსენება ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მასზე – არათანასწორი საარჩევნო გარემო, არასამართლიანად დაკომპლექტებული საარჩევნო კომისია და გაყალბებებში გაწაფული პირების აქტიური ჩართულობა საარჩევნო პროცესებში. დღესდღეობით ამ ფაქტორების გასანეიტრალებლად (ნაწილობრივ, ცხადია) მხოლოდ ორი საშუალება გვაქვს: ამომრჩევლების მაქსიმალური მობილიზება და საარჩევნო უბნებზე ვიდეოთვალების დამონტაჟება, რათა ზუსტად ვიცოდეთ არჩევნებზე გამოცხადებულთა რაოდენობა და **არ განმეორდეს 2008 წლის არჩევნებში მაშინდელი უფლებადამცველის, სოზარ სუბარის მიერ აღმოჩენილი** (სამწუხაროდ, დაგვიანებით, მაგრამ არა მისი მიზეზით) **გაუგონარი დარღვევები, როდესაც საარჩევნო ურნებში ჩაყრილი ბიულეტენები ორჯერ სჭარბობდა ურნებთან მისული ამომრჩევლების რაოდენობას.**

სწორედ ამის კონტროლია უმნიშვნელოვანესი და არა ის, რასაც ახლა გვპირდებიან – ურნებში უკვე ჩაყრილი ბიულეტენების დათვლის პროცესს გაყურებინებთ ტელევიზიით „ლაივშიო“! თამარ ჟვანიას ამ „ნოუ-ჰაუთი“, რომლის მსგავსი მსოფლიოში არავის მოსვლია თავში, საინტერესოა როგორ დაგვარწმუნებენ, რომ გაყალბებას არ ჰქონდა ადგილი?

შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ვიდეოთვალი დამონტაჟებული იყო უბნების მესამედზე (1 200-ზე 3 600-დან), და დღეს, 8 წლის შემდეგ, როდესაც ტექნიკური მომსახურება ბევრად უფრო გაადვილდა და მასობრივი გახდა ყველა სფეროში, განა ასე ძნელია ყველა საარჩევნო უბანზე ვებკამერების თუ არა, ვიდეოთვალის დაყენება? თანაც, ეს ხომ დამკვირვებლებსაც გაუადვილებს მუშაობას, ხოლო გამყალბებლებს კი – ქურდ-ბაცაცობას მნიშვნელოვნად გაუძნელებს! რა თქმა უნდა, ამის გაკეთება არც ძნელია და არც – ძვირი სიამოვნება, მოგება კი უდიდესი იქნებოდა. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს რუსეთის ამომრჩეველი სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის მეშვეობით აკვირდებოდა ნებისმიერ უბანზე მიმდინარე პროცესებს, და გამოვლენილ დარღვევებსაც ელექტრონული ფოსტით უგზავნიდა ცესკოს! ჩვენ კი გვეუბნებიან ურნებიდან გადმოყრილი ბიულეტენების დათვლას უცქირეთო! დაგვცინიან, აბა ამას სხვა რა ჰქვია!

თუკი ასე მოწადინებული ბრძანდებით ქ-ნო ცესკოს თავმჯდომარევ და თქვენს კეთილსინდისიერებაში გსურთ დაგვარწმუნოთ, მაშინ თქვენი „ნოუ ჰაუს“ ნაცვლად არჩევნებზე მისულთა რაოდენობის და მათი სახეების დაფიქსირების საშუალება მოგვეცით (ე.წ. „კარუსელები“ რომ გამოვრიცხოთ), ხოლო არჩევნების დასრულების შემდეგ თითოეულ ბარიერგადალახულ და ბარიერთან ახლოს მისულ პარტიას (3-დან 5 პროცენტამდე ხმებმიღებულებს), მიეცით საშუალება, რომ მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (ყოველგვარი ფორმების შევსების, დასაბუთების და სასამართლოს ნებართვის გარეშე) თავისი სურვილით აირჩიოს და გადაამოწმოს (გადათვალოს) 10-15 უბნის მონაცემები (სხვა პარტიებმა თავიანთი მოთხოვნა უნდა დაასაბუთონ). ასეთი პარტიები მხოლოდ 9-10 თუ იქნება და, მაშასადამე, გადამოწმებული უბნების რაოდენობა მაქსიმუმ 100-150 გამოვა, რაც 3-4 %-ია 3 600 უბნიდან. აშკარა გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი მან გავლენა იქონია შედეგზე, სათანადო კორექციასთან ერთად პასუხისგებაში უნდა მიეცეს გამყალბებელი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. ასეთივე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ პირებს, რომლებიც, დაინახავენ რა საკუთარი პარტიის უდავო მარცხს, შეგნებულად დაარღვევენ არჩევნების რომელიმე ისეთ წესს, რაც საბოლოო ჯამში ამ უბნის მონაცემების გაუქმებას გამოიწვევს (ეს ძალიან მარტივი გზაა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეს დამსახურებული გამარჯვება, დამსახურებულად მიღებული ხმები დააკარგვინო; ამ ხერხს არცთუ იშვიათად მიმართავენ დაუსჯელობით ან მცირე სასჯელით გათამამებული პირები).

ზემოთ ვთქვი, რომ გაყალბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი ამომრჩეველთა რაოდენობაა, რის გამოც **უნდა შევეცადოთ, რომ არჩევნებში მაქსიმალურად ჩაერთოს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მცხოვრები (ან მყოფი) ამომრჩეველიც, იქ ხომ საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 60%, ორ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (მათგან, დაახლოებით ორი მესამედი კი – რუსეთში)!** ისევ რუსეთის მაგალითს მოვიყვან ორიოდე კვირის წინ ჩატარებული სახელმწიფო დუმის არჩევნებიდან: მსოფლიოს 145 სახელმწიფოში 400(!) საარჩევნო უბანი გაიხსნა, რათა იქ მცხოვრები(და მყოფი) რუსეთის მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცათ. რას აკეთებს ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლება? სამწუხაროდ, არაფერს. რაიმე მსგავსს რომ აკეთებდეს, ეს დიდი ხანია, გვეცოდინებოდა.

არჩევნებთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ შევეხო ჩვენი ხელისუფლების უცნაურ წაყრუებას ერთ ფაქტზე: **უცხოეთის მოქალაქე, რომელსაც უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, მართლმსაჯულებას გაქცეული, გარედან განაგრძობს ჩვენს შინაურ საქმეებში, კერძოდ არჩევნებში ჩარევას პროვოკაციული ვიდეომიმართვებით და დესტაბილიზაციისკენ, საბოტაჟისკენ, შეიარაღებისკენ მოუწოდებს თავის მომხრეებს, ხელისუფლება კი ასეთ ადამიანს და მის თანამზრახველებს თითსაც ვერ აკარებს.**

ახლა ისიც ვკითხოთ ამ მთავრობას: როგორ ახერხებს ეს კრიმინალი სააკაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციის წარმოებას და ძირგამომთხრელ საქმიანობას? ფარულად? იატაკქვეშეთიდან? შემთხვევით, ჩვენი ტელეარხების და, პირველ რიგში, „რუსთავი-2“-ის მეშვეობით ხომ არა? ჰოდა, შე ხალხზე მზრუნველო ხელისუფლებავ, სააკაშვილს თუ ვერ ერევი, მისი აშკარა დანაშაულებრივი ინტერვიუების და მოწოდებების ტელევიზიებით გადაცემის აკრძალვის თავიც არა გაქვს? თუ, დემოკრატიის პრინციპები დაირღვევა ამით? დამნაშავე პირისთვის ეთერის დათმობა არის სწორედ დემოკრატიისთვის ხიფათის შემცველი, და არა უკანონო მიმართვების აკრძალვა!

დაუსჯელობით გათამამებული სააკაშვილი უკვე შეიარაღებული გადატრიალების დაგეგმვაზეც გადავიდა. როგორ შეიძლება ნორმალურ სახელმწიფოში, რომლის ყოფილი პრეზიდენტი მხილებულია უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულში (ამორალურ საქციელშიც), სახელმწიფო ტერორში, დანაშაულებრივი ომის წამოწყებაში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია შეგნებულად არ განახორციელა და ისინი დაუცველნი დატოვა საბრძოლო მოქმედებების ზონაში (და ეს გააკეთა მხოლოდ ერთი მიზნით: რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო და შემდეგ ყველაფერი რუსეთს დაბრალებოდა!, რომელიც დაემალა მართლმსაჯულებას და თავს უშველა ძვირფასი ნივთებიდან გაძცევით, რომლის წინააღმდეგაც ათასობით(!) სამხილი არსებობს დოკუმენტების, ვიდეო და აუდიოჩანაწერების სახით და რომლის წინააღმდეგაც ათასობით (თუ ათეულათასობით არა) ადამიანი მზად არის ჩვენება მისცეს სასამართლოში, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი აქეთ გვიტევდეს, დაბრუნებით და სისხლიანი გადატრიალებით გვემუქრებოდეს?

ასეთი ადამიანისგან ჟურნალისტები ინტერვიუებს, ხოლო ნაცმოძრაობის ლიდერები კი – ხელისუფლების დასამხობ ინსტრუქციებს იღებდნენ და, ყველაფერი ამის შემყურე (თვეების, წლების მანძილზე!) ხელისუფლება მაინც არავითარ პრევენციულ ზომებს არ იღებდეს და მხოლოდ სიტყვებით აწყნარებდეს ხალხს: ნუ ნერვიულობთ, ვერაფერს გაბედავენ ნაცები, ყველაფერს ვაკონტროლებთო. კი მაგრამ, სააკაშვილს რომ ყველაფერზე წამსვლელი შეიარაღებული ზონდერების ასეულები ჰყავდა, რომელთა მეთაურების გვარები ჩვენზე კარგად ხელისუფლებას მოეხსენება, რომელიმე დააპატიმრეს ან განაიარაღეს? არა, ხომ? მაშ, რის საფუძველზეა ასე დაწყნარებული იგი, პოლიციის იმედი აქვს თუ ჯარის? იქ ხომ, ძირითადად, ისევ ნაციონალების კადრებია, რომლებსაც მატერიალურ წახალისებას არ აკლებდა სააკაშვილი, განსაკუთრებით, სისასტიკით თავგამოჩენილებს. **ამის დამადასტურებლად 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა უმოწყალო დარბევისთვის გაცემული პრემიების (900 ათასი ლარის ოდენობის) ახლახან გასაჯაროებული დოკუმენტაციაც კმარა.** ეს კარგად იციან ნაცების მიერ „კაცთმოყვარეობის“ ნიშნით შერჩეულმა და ჯერჯერობით გაყუჩებულმა პოლიციელებმა და ხელუხლებელმა ზონდერებმაც.

ნაცებს და მათ მხარდამჭერ ე.წ. „ასოებს“ ერთი ამბავი აქვთ ატეხილი – როგორ გაბედეს და სააკაშვილთან სატელეფონო საუბრები ჩაიწერეს, მოსმენები ხომ უკანონობაა. საუბრის შინაარსზე კი, სადაც სააკაშვილი და ნაცმოძრაობის ხუთი ცნობადი, ე.წ. მოლაპარაკე სახე შეიარაღებულ გადატრიალებას გეგმავს, კრინტს არ ძრავენ! არც იმაზე საუბრობენ, რომ ყველა ნორმალური სახელმწიფო მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს ნებისმიერს, ვისაც სახელმწიფო და სამხედრო დანაშაული აქვს ჩადენილი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე მის სატელეფონო საუბრებსაც იწერს და ელექტრონულ მიმოწერასაც აკონტროლებს.

იაკობ ლეჟავა,
30 სექტემბერი, 2016

ნუ მიხვალთ, ბიჭებო, პოლიტიკაში!

კიდევ არ გჯერათ, ძვირფასო მეგობრებო, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა? აი, თქვენ, მორიგი მაგალითი: იყო და არა იყო რა, იყო საქართველოში მომღერალი. თანაც უბრალო კი არა, დიდი მომღერალი. მსოფლიო სახელის მქონე ბანი. მას თვით შალიაპინსაც ადარებდნენ. ყველა სიკეთესთან ერთად, მომღერალს საქველმოქმედო ფონდიც ჰქონდა. ბავშვებს ეხმარებოდა, ეკლესიებს აგებდა.

ჰოდა, რაღაცამ დაჰკრა მომღერალს თავში: ერთ დიდად არცთუ მშვენიერ დღეს, მას აზრად მოუვიდა პოლიტიკას მიჰყოლოდა. მოინდომა ფრაქციის სათავეში ჩადგომა და სახელმწიფოს მართვა დაეწყო. ვერაფერს იტყვი, კაი საქმეა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ სარისკოც. რამდენიმე თვეც არ იყო გასული, რომ მომღერლის სახელთან დაკავშირებით ერთი მეორის მიყოლებით სკანდალები, უფრო სწორად, სკანდალების მთელი შლეიფი აგორდა. ყოფილმა ავტორიტეტმა თვალსა და ხელშუა დაიწყო გაქრობა. გავრცელდა ჭორები, ერთი მეორეზე სამარცხვინო. ხალხმა, ვინც მასთან ერთად პოლიტიკური გუნდი შეკრა, უცებ ზურგის შექცევა დაიწყო. და, ყველასგან მოულოდნელად, ჩვენს პატივცემულ მომღერალს, არ დამიჯერებთ და მომხვეჭელი უწოდეს. თითქოსდა იგი ხან ერთ, ხან მეორე თანამებრძოლს დიდძალ თანხებს სძალავდა. საერთოდაც, ირწმუნებოდნენ მისი ყოფილი მეგობრები და თანამოაზრენი, მომღერალი პოლიტიკაში მხოლოდ საკუთარი გამდიდრების გამო წავიდაო.

ახლა ბანი ფალცეტით გაჰყვირის: „არა, ბიჭებო, დამნაშავე არა ვარ, ფული არასოდეს არავისთვის არ გამომირთმევიაო!“ მას კი პასუხობენ: „როგორ არ აგიღია, როცა პირადად მე ოთხ მილიონს მთხოვდიო!“ რა გინდა ახლა რომ ჰქნა კაცმა?

გავამხილოთ ჩვენი გმირის სახელი. ესაა ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ქართული საოპერო ხელოვნების სიამაყე, რომელიც ბლოკ „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის“ თავკაცია. ამას წინათ მისმა ერთ-ერთმა ყოფილმა თანამოაზრემ ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, თითქოს მასა და პარტია „გირჩიდან“ თანამოაზრეებს, პაატა ბურჭულაძე, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხ მილიონ დოლარს სთხოვდა. მაგრამ ვერ მიიღო! ამ მიზეზით ყოფილ თანამოაზრეთა გზები გაიყო. ჰოდა, დაიწყო ურთიერთის მიმართ სატელევიზიო საყვედურები და ბრალდებები. ერთი ირწმუნება, რომ ჩვილივით უცოდველია, მეორე მხილებებს აყრის.

ახლა კიდევ ერთი ციტატა: „სიაში შეყვანაში პაატა ბურჭულაძეს ჩემთვის არანაირი თანხა არ მოუთხოვია“, — განაცხადა ტელეარხ GDS-ის ეთერში პოლიტიკური ბლოკის „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა გიორგი ვაშაძემ. შემდეგ კი დასძინა: „გირჩის“ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, ოთხ მილიონზე ლაპარაკი არ ყოფილა. მერე ისინი გავიდნენ, ცალკე ილაპარაკეს რაღაც და... ყველაფერი კონფლიქტით დასრულდა“. როგორც ვხედავთ, იგი თითქოს იცავს თავის ლიდერს, თუმცა ასეთი დაცვის შემდეგ უფრო მეტი კითხვა ჩნდება.

მაშ, სთხოვდა თუ არა პაატა ჯაფარიძეს ოთხ მილიონს? ან სთხოვდა, ან არა! მიდი და გაარკვიე! მოკლედ, ყველაფერი ასეა, როგორც ჩეხოვის ცნობილ ამბავში: „ან მან მოიპარა, ან მას მოპარეს“.

მაგრამ, კომპრომატი მაინც სახეზეა!

არა, ბიჭებო, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე პოლიტიკაში ფეხის მიმდგმელი არა ვარ. ნურც ეცდებით გადამათქმევინოთ!

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

რუსი გენერალი:
ქართველების ამჟამინდელი თაობა რუსეთს არასდროს აპატიებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას

რუსულ გამოცემა „ВПК – Военно-промышленный курьер“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში პარლამენტის არჩევნების წინ შექმნილი ვითარება, მოცემულია პოლიტიკური ძალების განლაგება და მათი შესაძლებლობები, საუბარია ქართული პარტიების საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებზე — მედასავლეთეებზე და რუსეთუმეებზე. მასალაში ყურადღება ეთმობა აგრეთვე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შანსებს — შესაძლებელია თუ არა მისი დაბრუნება საქართველოს ხელისუფლებაში.

„გასაგებია, რომ ძირითადი ბრძოლა ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის მომხრეებს შორის გაიმართება: სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები წინააღმდეგობრივ შედეგებს აჩვენებენ — გამარჯვების პალმა ხან „ქართული ოცნებისაკენ“, ხანაც „ნაციონალური მოძრაობისაკენ“ იხრება. გასაგებია, რომ ასეთ სიტუაციაში ხელისუფფლება მოტივირებულია მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტირება მოახდინოს... რა შედეგს გამოიღებს ხელისუფლების მოქმედება — მოუმატებს თუ მოუკლებს ხმებს მიხეილ სააკაშვილს, ამის თქმა ძნელია, თუმცა ერთი რამ აშკარაა: ორივე ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალა წინასაარჩევნო კამპანიის ფინალს ფეხდაფეხ უახლოვდება.

საქართველოს ამომრჩევლებში დღეს საპროტესტო პოტენციალი ნამდვილად არის: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ წინა არჩევნების დროს გაცემული დაპირებებიდან ბევრი რამ ვერ შეასრულა და, აქედან გამომდინარე, მთავრობის მიმართ ბევრი საყვედური გაისმის. შესაბამისად, არაა გამორიცხული გარკვეული არეულობები მოხდეს. „ნაციონალებმა“ ამ მიზნით შეიძლება უკრაინული წარმომავლობის ფულიც გამოიყენონ. რამდენადაც რუსეთს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს, ჩვენ არ შეგვიძლია აქტიური პირდაპირი გავლენა მოვახდინოთ იმ პროცესებზე, რომლებიც შეიძლება არჩევნების შემდეგ დაიწყოს. მხოლოდ ირიბად — მაგალითად, მართლმადიდებლური კონტაქტების მეშვეობით. ალბათ, რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობის ვექტორს დაიცავენ საქართველოში მოქმედი ოფიცერთა კავშირებიც. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე ეკონომიკური სანქციის გამოყენება (ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის აკრძალვა). პირიქით, სავაჭრო ურთიერთობა უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს. ჩემი აზრით, ასევე აუცილებელია საბაჟო და სასაზღვრო (სავიზო) რეჟიმის გამარტივება, რათა ჩვეულებრივ მოქალაქეთა შორის კონტაქტები გაფართოვდეს, ტურისტების რაოდენობა გაიზარდოს.

მაგრამ ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ: ის ურთიერთობები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს იყო, გინდაც რომ დაბრუნდეს, ეს სწრაფად მაინც არ მოხდება — ქართველების ამჟამინდელი თაობა რუსეთს არასდროს აპატიებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. მე ჩემს ქართველ კოლეგებს საკმაოდ ხშირად ვეკონტაქტები და ბევრ საკითხში ერთნაირი პოზიცია გვაქვს, მაგრამ როგორც კი საკითხი ტერიტორიებს ეხება, ჩვენ უკვე ერთმანეთს ველარ ვუგებთ, მომენტალურად ჩნდება ნეგატიური განწყობა. ალბათ, თანამშრომლობის გაფართოების ერთადერთი გზა იმაშია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი დროებით „ფრჩხილებს გარეთ გამოვიტანოთ“ და სხვა საკითხებზე მოვილაპარაკოთ“, — წერს ლეონიდ ივაშოვი.

ლეონიდ ივაშოვი,
რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, გენერალ-პოლკოვნიკი, პროფესორი

◎ ირგვლივ ულამაზესი ბუნებაა!..

რა კარგად მოქცეულან ქართველები, ღმერთთან მისვლა რომ დააგვიანეს...

ზოგჯერ ისეთ ქვეყანაში მოხვდები, რომელიც ტურისტებისთვის უცნობ, იდუმალ ადგილად ითვლება და საკუთარ თავს ეკითხები — რა მინდა აქ , რატომ ჩამოვედი? სწორედ ასე მოუვიდა „დოიჩე ველეს“ ჟურნალისტ კერსტინ პალცერს, რომელიც ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარე ქვეყანას ეწვია.

გთავაზობთ გერმანელი ჟურნალისტის საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებებს, რომელიც მან გავლენიან გერმანულ „Deutsche Welle“-ში გამოაქვეყნა.

„როცა უფალი ღმერთი ადამიანებს მიწებს უნაწილებდა, ქართველებმა დააგვიანეს და მამაზეციერთან მაშინ მივიდნენ, როცა ყველაფერი განაწილებული იყო. უფალი შეეკითხა, სად იყავით, რატომ დროზე არ მოხვედითო. ქართველებმა უპასუხეს — სუფრა გვქონდა გაშლილი, ვმხიარულობდითო (ქართველებს დროსტარება ძალიან ესერხებათ!). ღმერთს მოეწონა მათი გულწრფელობა და თქვა, რომ თქვენნაირი გულღია და მხიარული ხალხი ბოროტი არ იქნება, ერთი მთა-ბარიანზღვიანი ადგილი მქონდა ჩემთვის შენახული და თქვენთვის მიჩუქნიაო. აი, ასე შეხვდათ ქართველებს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ქვეყანა“.

ამ ისტორიას შორენა, ჩვენი გიდი მოგვიყვა ავტობუსში, როცა ჩვენი ჯგუფი თბილისის აეროპორტიდან დედაქალაქში მიდიოდა. შორენა გერმანისტია და თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული. მან საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი გაგვაცნო, დასავლეთი კი, ბათუმის ჩათვლით, შემდეგი მოგზაურობისთვის შემოვინახეთ (ალბათ, მალე ვეწვევით!).

ჩემი პირველი შთაბეჭდილება თბილისზე: ეს არის საოცრად თანამედროვე ქალაქი. თბილისში ბოლო წლებში ბევრი მინა-ბეტონის მაღალი შენობა გაჩნდა. განსაკუთრებით მინაა დიდ პატივში: „მინისაგან აგებული შენობები გამჭვირვალეა, გულღიაობის მაჩვენებელია“, — ამბობს ექსკურსიამძღოლი შორენა და იქვე ღიმილით ამატებს, — „ჩინებულია, მაგრამ... ჩვენს მზიან ქვეყანაში ცოტა არაპრაქტიკულიც“.

თბილისში მილიონ ორასი ათასზე მეტი მცხოვრებია. ვიწრო ქუჩები და თანამედროვე საბაგირო გზა, ავსტრიელების მიერ აგებული. აქ ერთმანეთს საუკუნეები ენაცვლება. ყველგან შესანიშნავი რესტორნებია, რაც ხაზს უსვამს ქართული სამზარეულოს მნიშვნელობას.

(გერმანელი ჟურნალისტი ჰყვება მტკვარზე, პატარა გემზე მოწყობილ რესტორანში ყოფნის შთაბეჭდილებებს: „ქართული ღვინო მდინარესავით იღვრება.. დაისი თვალწარმტაცია... მივსეირნობთ სანაპიროზე“. ავტორი აღწერს ყაზბეგში ყოფნასაც: „კავკასიის მთავარი ქედისაკენ სამხედრო გზით გავემგზავრეთ. ეს გზა საქართველოს რუსეთთან აკავშირებს. გზა ძირითადად კარგ მდგომარეობაშია, რელიეფის კვალობაზე, თუმცა ხანდახან ძროხები და ცხვრები გვხვდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ადგილებში, „მშვიდობიანი ცხოველები“ ხელს არავის უშლიან. ირგვლივ ულამაზესი ბუნებაა“. სტეფანწმინდაზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ „ის დიდი მთის ძირას მიყუჟული პატარა ჩვეულებრივი ქალაქია“. „დოიჩე ველეს“ ჟურნალისტზე უფრო მეტ შთაბეჭდილება წმინდა სამების ეკლესიამ მოახდინა: „შორენა გვიყვება, რომ ეს ეკლესია ქართველებისათვის წმიდათაწმიდაა - აქ მრავალი საუკუნის წინათ იკრიბებოდა უხუცესთა საბჭო, რომელიც თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდაო. სამლოცველო პატარაა და სიცხეში იქ ყოფნა ცოტა ძნელია. გარეთ გამოვედი და 5 ათასმეტრიან მთას შევხედე. გასაოცარი გრძნობა დამეუფლა — თითქოს ვფრინავ კავკასიის მთების ქვემოთ, თავზე კი არწივი დამტრიალებს... არაგვზე ტივებით დაცურება ხომ სასწაულებრივია. ჩვენს გამოცდილ გამყოლს ზურას, ტივი ჩქერებზე გაბედულად გადაჰყავს. ასეთი ემოციების შემდეგ სუფრაზე კარგად მოვილხინეთ“).

„საქართველო ცდილობს დასავლეთისთვის გახსნილი იყოს. თბილისის აეროპორტიდან ქალაქისაკენ მომავალი ქუჩა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელს ატარებს. ყველგან ევროკავშირის დროშები ფრიალებს. ახალგაზრდა ქართველები ინგლისურად საკმაოდ კარგად საუბრობენ. გერმანელებს საქართველოში ჩასვლა უვიზოდ შეუძლიათ. პრაქტიკულად ყველგან კარგი სასტუმროებია. ყაზბეგში ჩვენ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში გავჩერდით, შესაბამისი კომფორტით. აქ ძალიან ბევრია საინტერესო მარშრუტი, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ. სტეფანწმინდაში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ამზადებენ ტრადიციულ ქართულ ცომის გუფთას — „ხინკალს“. აქვე ღვინის ბოკალით ხელში დატკბებით მთების პეიზაჟით... უნებურად გაიფიქრებთ: რა კარგად მოქცეულან ქართველები, ღმერთთან მისვლა რომ დააგვიანეს...“, — აი, ასე ამთავრებს თავის შთაბეჭდილებებს გერმანელი ჟურნალისტი.

„DEUTSCHE WELLE“ (გერმანია)

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ვადაგაგრძელებული საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	სკვადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27 852	53.12.32.133	10 000	3000	1000	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	21 962	53.12.32.132	8 800	2640	880	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2016 წლის 06 ოქტომბრიდან 2016 წლის 04 ნოემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

საგარეო ვალი და მისი მართვის სტრატეგია

საქართველოს საგარეო ვალი იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალი ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფინანსური რესურსია და ყველაზე ძლიერ ქვეყნებსაც კი საგარეო ვალი აქვთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაში იხარჯება ვალი და არანაკლებ მნიშვნელოვანი – არსებობს თუ არა ქვეყანაში ვალის მართვის სტრატეგია.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 15.1 მლრდ აშშ დოლარი (35.3 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 108.7 პროცენტია; 2016 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 413.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან ოპერაციული ცვლილებების გამო ვალის ზრდამ 386.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 6.3 მლრდ აშშ დოლარი (14.8 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 45.7 პროცენტია, საიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.5 მლრდ აშშ დოლარი (10.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 32.8 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 213.4 მლნ აშშ დოლარი (500.0 მლნ ლარი; მშპ-ს 1.5 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, – 890.1 მლნ აშშ დოლარი (2.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 6.4 პროცენტი) და 684.3 მლნ აშშ დოლარი (1.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 4.9 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 3.2 მლრდ აშშ დოლარი (7.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 22.8 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 4.7 მლრდ აშშ დოლარი (11.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 34.2 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 2.4 მლრდ აშშ დოლარი (5.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.3 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 94.3 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 9.2 მლრდ აშშ დოლარი (21.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 66.3 პროცენტია. აქედან სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.4 მლრდ აშშ დოლარია (8.1 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 24.8 პროცენტია.

2016 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 6.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 4.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო საკურსო ცვლილებების გამო კლებამ 1.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წლის მეორე კვარტალის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანი ვალდებულებები 213.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან 201.4 მლნ აშშ დოლარი განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (ნსუ)1, რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და, პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

ვალის მასშტაბის ზრდასთან ერთად დგება სახელმწიფო დონეზე ვალის მართვის სტრატეგიის არსებობის აუცილებლობა. საქართველოში მსგავსი სტრატეგია არ არსებობს, მაგრამ ჩამოყალიბებულია ხედვა და მიდგომები, თუ როგორ უნდა იმართებოდეს სახელმწიფო ვალი. საკანონმდებლო დონეზე გაწერილია ვალის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს (ფინანსთა სამინისტრო) ფუნქციები და მოვალეობები. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, ასევე, ვალის აღებისა და მართვის პროცესში სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების (ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი) უფლებამოსილებას.

ვალის მართვის სტრატეგია არის ვადებში გაწერილი კონკრეტული გეგმა, რომელიც მთავრობას ეხმარება მიაღწიოს სახელმწიფო ვალის პორტფელის სასურველ, ოპტიმალურ შემადგენლობას. სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია შინაარსობრივად შედგება რამდენიმე, ერთმანეთთთან დაკავშირებული, კომპონენტისგან, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს 3 ძირითადი: ვალის აღებისა და მართვის ორგანიზაციული პროცედურების უზრუნველყოფა, ვალის დაფინანსების წყაროს მოძიება და გრაფიკის განსაზღვრა, ასაღები ვალის ოდენობის განსაზღვრა, რისკების შეფასება, მართვა და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების წარმოება. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო ვალის ნეგატიური გავლენა ეკონომიკაზე, ვალის მართვა მაკროეკონომიკური პოლიტიკის მუდმივი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ბევრი ქვეყანა ვალის მართვას კრიზისის დროს იწყებს, რაც შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს, რადგან სწორედ ამ კრიზისის ასარიდებლად არის საჭირო ვალის მართვის პროცესის წარმოება.

ნინო ევგენიძე

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1 ერთეული „ბ" კატეგორია;
- **ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1 ერთეული "ა" კატეგორია;
- **ბიოქიმიის განყოფილება** - მეცნიერი თანამშრომელი 1 ერთეული "ბ" კატეგორია.
- **რადიობიოლოგიის განყოფილება** - მეცნიერი თანამშრომელი 2 ერთეული "ა" კატეგორია.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (სტატიები, თეზისები);
6. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ასლები, საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს.

კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2016 წლის 07 ნოემბრიდან 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსის ჩატარების თარიღია 2016 წლის 11 ნოემბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია.

საკონტაქტო პირი – ნინო ემუხვარი, ნინო ასტამაძე, მარიამ ირემაშვილი.

Email – secretary@lifescience.org.ge

ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

წინასაარჩევნო სათრეველები

დებატები

ჯანდაბა ამათ დებატებს,–
ჩვენს ხალხს ვერაფერს შემატებს
უზრდელთა კაკაფონია,
რადგან ისეთი ფონია,
რომ ვუსმენ, ასე მგონია,
მოშლილი პატეფონია!

კასტური სამართალი

ძველი ვალის გასტუმრება
ხელს თუ აძლევს კასტურ ნებას,
ბევრი რამ დადასტურდება
და ბევრიც ჩაბასტურმდება!

აქში!

ამოავლო სორო ლაფში,
ოდესაშიც, სოლოლაკშიც
და მრავალთა გასაკვირად,
საარჩევნო შაბათ-კვირას
გვპირდება, რომ გახსნის გვირაბს!

* * *

– კიდევ სად რას?
– ჰკითხეთ სანდრას!

* * *

გვიტევს იწილ-ბიწილებით,
„ნაცთა“ გველის წიწილებით
და სწამს, რომ გავიწირებით.

* * *

დაგვაყენეთ მშვიდად აქ, შინ,
ჭილყვავო და სანდრა, აქში!

აუქციონი

საარჩევნო აუქციონს
გვერდი რომ ვერ ავუქციოთ,
ანკესებით დაპირება
გადმოყარეს ვამპირებმა,
და როდესაც ცრუქაქუნა
ჭორით იწერს მორიგ ქულას
და სკამს რომ ეხახუნება,
ღირს ხარხარის გახურებად!

ჩახედვა და გახედვნა

ჯიშიან ულაყს ვერ შველის
დაგვიანებით გახედვნა
და რას მოგვიტანს ეგ შენი
მკვლელის თვალებში ჩახედვა.

როგორ გაუძლებ შემტევებს
სად გაექცევი, ნეტა, სად,
ქალბატონ ია მეტრეველს,
შვილმოკლულ ბუტას დედასა?
დღემდე რომ უცქერ ისევე
ზვრებს – ლამაზ ვაზად აშლილებს,
ნეტავი რად არ იხსენებ
მამა-შვილ ვაზაგაშვილებს?
არ გვინდა შენი დათრგუნვა,
მაგრამ გვაქვს სხვა ანგარიშიც,
რას ეტყვი ჩვენს ხალხს, ან თუნდაც
გურამ შარაძის ქალიშვილს?
როცა ჩაგესმის გოდება,
დედა რომ უხმობს სანდროსა,
ღობე-ყორეზე მოდებას
ნულარ გაბედავ სხვა დროსა.
კუკუმალობას არ შვენის
მკვლელის თვალებში ჩახედვა,
რადგან ულაყსაც არ შველის
დაგვიანებით გახედვნა!

ნაგვობანა

ეშმაკეულის ნაგრამი
ვერ შეელია ნაჩვევსა,
ხალხს თვალებს უხვევს,მაგრამ ის
კეთილს და ბოროტს არჩევსა
და არჩევნებში ნაგავის
ნაგვობას წარმოაჩენსა!

„წინასაარჩევნო დაპირებები“

მურთაზ აბაშიძის ნახატი

ზედაშე

არ გამოდგება ნამდვილ ზედაშედ,
თუ ყურძენია ცუდი მოსავლის;
არც დეპუტატად გვარგებს მე და შენ
ნაბუშარი და ნასოროსალი!

შავი კენჭები

თავს მოხვეული არჩივით
მომსწრე ვარ მრავალ მძიმე დღის,
მაგრამ, ღმერთმანი, არ ვჩივი,
რადგან დღემდე მაქვს იმედი,
რომ ვინც სიმწარე გვანახა,
აწი კვანტს ველარ გამოგვდებს
და 8 ოქტომბერს ვაახლებთ
კენჭისყრით შავზე შავ ლოდებს!

ყურმოკრული დიალოგი

– რად სძულს „ოდესელს“დინჯი ყმა,
რატომ აგინებს, რა პირით?
– მიტომ რომ, მაგრა მიჯირყვნა
ეგ სისხლისმსმელი ვამპირი!

„რუსთა-ვორი“

„ქალბატონო კარაკოზა,
შეიცვალო უნდა პოზა!“
გასაბჭოებამდელი სლოგანი

რადგან შვენის ვერას „მუზა“,
მის სიწმინდეს ვერას უზამს,
ვერც სხვა, ვერც ის კარაკოზა,
ვინც იცვლიდა ხშირად პოზას,
მაგრამ დარჩა ქარაგოზად! *

თვალებს მაინც აბრიალებს
და ნაცებს რომ აპიარებს,
რადგან არის „რუსთა-ვორი“,
არ ახსოვდეს, არა მგონი,
ვინ გაყიდა ახალგორი.
და კოდორი...

დღემდე მაინც შერჩა პოზა
გვარამია ქარაგოზას
და ნიანგის ცრემლი სდისა
მაოხრებელს „იმედისა“!

———————

**ქარაგოზა – ქვაზე გაკრული წვრილი ხავსი(საბა)*

ხიხო-მიხოს „მაინ კამფი“

მოლაყბედ რომ დასვა სანდრა,
მკვლელად ხალხს სხვა მიუსია,
აკა გახდა მთავარსარდლად
და ეს უკვე ნიუსია.
ჩქარობს მიხო, ხელი გაკრას,
რაც მსხვრევადი მინასია
და ნდობს ქართულ სულის ჩაკვლას
რულოვსა და მინასიანს!

ალექსანდრე შენგელია

◎ **გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!**

პიტერ დიამანდისი:

როგორი იქნება მსოფლიო 2025 წელს?

პიტერ დიამანდისი, PRIZE Foundation-ის დამფუძნებელი 2025 წლისთვის ცვლილებების დაჩქარებას პროგნოზირებს. მისი მოსაზრებით სიახლეები განსაკუთრებით 8 სფეროს შეეხება.

ადამიანის ტვინი 1000 დოლარად

2025 წელს ყველას შეეძლება 1000 დოლარად ისეთი კომპიუტერის ყიდვა, რომელიც დაითვლის წამში 10 000 ტრილიონ ციკლს - რაც უდრის ადამიანის ტვინის მიერ ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარეს.

ტრილიონი სენსორის ეკონომიკა

„ყველაფრის ინტერნეტი“ გააერთიანებს ერთიან ქსელში მოწყობილობებს, ადამიანებს, პროცესებს და მონაცემებს. 2025 წელს „ყველაფრის ინტერნეტში“ იქნება მიერთებული 100 მლრდ. მოწყობილობა, რომელსაც ექნება ათობით სხვადასხვა დანიშნულების სენსორი.

ეს შექმნის „ტრილიონი სენსორის ეკონომიკას“ და საინფორმაციო რევოლუცია გადააბიჯებს ზღვარს რეალობას და წარმოსახვას შორის.

სრულყოფილი ცოდნა

ჩვენ ვუახლოვდებით სრულყოფილი ცოდნის სამყაროს. ტრილიონი სენსორის მეშვეობით ჩვენ შევძლებთ გავიგოთ ყველაფერი, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას.

8 მლრდ. ადამიანი მჭიდრო კავშირებით

უკვე დღეს , რამდენიმე კომპანია მუშაობს იმაზე, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა მაღალი სიჩქარით. ეს კომპანიებია - Facebook (Internet.org), Spacex, Google (Project Loon), Qualcomm lf virgin (OneWeb).

გამოდის, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზრდება 3 მლრდ.-იდან 8 მილიარდამდე. მომდევნო 10 წელიწადში გლობალურ ეკონომიკას შეურთდება 5 მილიარდი ახალი მომხმარებელი, რომელთა ჯამური მსყიდველობითუნარიანობა აღწევს ათობით ტრილიონ დოლარს.

თანაც ისინი შევლენ ქსელში არა ძველი და ნელი კომპიუტერებით, როგორც ეს იყო 20 წლის წინ, არამედ ახალი, სწრაფი არხებით, მძლავრი საძიებო სისტემებით, ხელოვნური ინტელექტით, 3-D ბეჭდვით, და ა.შ.

პროგრესი ჯანდაცვაში

ჯანდაცვის დღევანდელ ობიექტებს წალეკავენ ახალი ბიზნეს-მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო ხარისხიან და იაფ სამედიცინო მომსახურებას. ათასობით სტარტაპი და დღევანდელი გიგანტები (Google, Apple, Microsoft, SAP, IBM) შემოვლენ ამ მიმზიდველ 3,8-ტრილიონიან ბაზარზე ახალი ბიზნეს-მოდელებით და მთლიანად შეცვლიან დღევანდელ ბიუროკრატიულ და არაეფექტურ სისტემას.

ახალი ბიომეტრიული სენსორების წყალობით ყველა ადამიანი გახდება საკუთარი ჯანმრთელობის „ბატონ-პატრონი“, ხელოვნური ინტელექტი კი გააადვილებს ბრძოლას კიბოს, გულის და სხვა მძიმე დაავადებების წინააღმდეგ.



რობოტი-ქირურგები ავტონომიურად გააკეთებენ ოპერაციებს ბევრად უფრო იაფად, ვიდრე დღეს. ასევე ყველას ექნება საშუალება გაზარდოს ახალი ორგანო და არ დაელოდოს დონორის გარდაცვალებას.

დამატებითი და ვირტუალური რეალობა

მაღალტექნოლიგიური კომპანიები დებენ მილიარდობით დოლარს ამ დარგში –

Facebook (Oculus), Google (Magic Leap), Microsoft (Hololens), და ა.შ.

ეკრანი, ისეთი ფორმით როგორც ის არის დღეს, გაქრება. მას შეცვლის სათვალე. შედეგად მოხდება რადიკალური ცვლილებები მთელ რიგ დარგებში – რითეილში, უძრავი ქონების ბიზნესში, განათლებაში, მოგზაურობებში, და ა.შ.

ასევე მოსალოდნელია ადამიანების ყოფაქცევის რადიკალური ცვლილება.

ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტის დარგში გამოკვლევები მომდევნო ათწლეულში განიცდის დიდ პროგრესს.

IBM Watson, DeepMind და Vicarious ამჟამად ამუშავებენ შემდეგი თაობის ხელოვნურ ინტელექტს.

10 წლის შემდეგ თქვენი ხელოვნური ინტელექტი მოუსმენს ყველა თქვენს საუბარს, წაიკითხავს მიმოწერას, დაასკანერებს თქვენს ბიომეტრიულ მონაცემებს.

ბლოკჩეინი

თუ თქვენ არაფერი იცით ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე – გირჩევთ გაეცნოთ მას.

შესაძლებელია თქვენ რამე იცით ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე აწყობილ კრიპტოვალუტა – ბიტკოინზე, რომელიც არის დეცენტრალიზებული, გლობალური, დემოკრატიული და ძალიან დაცული.

თუმცა, ნამდვილი ინოვაცია – თავად ბლოკჩეინის ტექნოლოგიაა, რომელიც შესაძლებელს ხდის აქტივების, ფულის და სხვა ფასეულობების პირდაპირ და უსაფრთხო ტრანზაქციებს შუამავლის გარეშე.

ინვესტორებმა ჩადეს ათობით მილიონი დოლარი ამ ტექნოლოგიაში, რადგან მიიჩნევენ მას ისევე მნიშვნელოვნად, როგორც ინტერნეტის შექმნას.

შედეგი – ჩვენ ვცხოვრობთ ყველაზე დაუჯერებელ და შესანიშნავ დროში, როდესაც ერთადერთი რაც უცვლელი რჩება, ცვლილებებია...

WWW.MYBIZ.RU

უცნობი გენერალისიმუსი...

1941 წლის ოცდაორი ივნისი

სამთავრობო შეტყობინებების ორი საათის შემდეგ მოლოტოვის მისაღებიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ მასთან უნდა შევსულიყავი, მის კაბინეტში შევედი თუ არა, მალე იქ სტალინიც შემოვიდა და მაშინვე კაბინეტიდან გასვლა დავაპირე, მაგრამ სტალინმა შემაჩერა:

— სად მიდიხართ? დარჩით.

კართან შევჩერდი და მითითებას დაველოდე.

— მართალია, ძალიან ნერვიულობდი, მაგრამ კარგად გამოხვედი, — უთხრა სტალინმა მოლოტოვს.

— მე კი მომეჩვენა, რომ ისე ვერ თქვი, როგორც საჭირო იყო, — უპასუხა მოლოტოვმა.

დარეკა კრემლის ტელეფონმა. მოლოტოვმა ყურმილი აიღო და სტალინს შეხედა:

— ტიმოშენკო გკითხულობს, დაელაპარაკები?

სტალინი ტელეფონთან მივიდა, თავდაცვის სახალხო კომისარს ცოტა ხანს მოუსმინა და ბოლოს ეუბნება:

— მოულოდნელ თავდასხმას ომში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ხდის ინიციატივიანს და დიდ საბრძოლო უპირატესობას ჰმატებს თავდამსხმელს. თქვენც თქვენი მხრივ მოულოდნელად იმოქმედეთ. სიტყვამ მოიტანა და, მხედველობაში იქონიეთ, რომ გერმანელები ცდილობენ, მოულოდნელობით ჩვენი არმიის რიგებში პანიკა გამოიწვიონ. ამიტომაც სარდლები მკაცრად უნდა იქნენ გაფრთხილებულები, რათა არ დაუშვან არავითარ შემთხვევაში პანიკა. ეს ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითებაშიც გაითვალისწინეთ... დირექტივის პროექტი თუ მზად არის. განვიხილოთ ბოლო მონაცემებთან ერთად. დაუკავშირდით ერთხელ კიდევ მთავარსარდალს, გაარკვიეთ, როგორია იქ ვითარება და ჩამოდით! ამისთვის დრო რამდენია საჭირო? ორი? კარგი, ოღონდ, მეტი არა... რას იტყვით, როგორი ვითარებაა პავლოვთან?

სტალინმა ტიმოშენკოს მოუსმინა და შუბლი შეკრა:

— იმას მე თვითონ მოველაპარაკები...

მერე ყურმილი დადო და განაგრძო:

— საზღვართან რა ხდება, პავლოვმა კონკრეტულად არაფერი იცის, არც არმიის შტაბებთან აქვს კავშირი! იმიზეზებს, არმიაში დირექტივამ დააგვიანაო. ჰო, მაგრამ, არ უნდა იყოს არმია დირექტივების გარეშეც მზადყოფნაში?!

ყურადღებით ვაკვირდებოდი სტალინს და იმაზე ვფიქრობდი, რა დიდ ძალას ფლობდა და რა ზუსტად შეეძლო იმ ძალის გამოყენება, რაზეც მთელი ქვეყნის ბედი იყო დამოკიდებული.

სტალინმა რამდენიმე წუთში დაიოკა მრისხანება და დასძინა:

— პავლოვი შაპოშნიკოვთან უნდა გავაგზავნოთ. დარწმუნებული ვარ, დაეხმარება არმიის მართვის ორგანიზებაში, გააძლიერებს მათ თავდაცვით პოზიციებს. როგორც ჩანს, ჩვენი ჯარი დასავლეთი საზღვრის დაცვას თავს ვერ ართმევს, ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — არ არის საკმარისი ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა, განსაკუთრებით თვითმფრინავები.

პირველ საათებში ჰაერი გერმანიის ავიაციამ მოიცვა, ისინი გაბატონდნენ ჰაერში. ჩვენ ვერ შევძელით ძალების თავის მოყრა და საერთოდაც ვერ გავაკეთეთ ყველაფერი — დრო არ გვეყო — საჭიროა დაუყოვნებლივ განვახორციელოთ კონტრდარტყმა, ამასთან ერთად უნდა დავავალოთ ვინმეს, მოახდინოს მოსახლეობის, საწარმოებისა და სხვა სახის ქონების ევაკუაცია ფრონტისპირა რაიონებიდან აღმოსავლეთში. მტერს იქ არაფერი არ უნდა დავუტოვოთ... ამ საკითხს კრებაზე განვიხილავთ. აი, ამხანაგ ჩადაევს კი დავავალოთ, თავი მოუყაროს მარჯვე, საზრიან მუშაკებს, რათა დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ ადგილობრივ პარტიულ და ფრონტისპირა ხაზის საბჭოთა ორგანოებს და გადასცენ კონკრეტული წინადადებები.

თქვა სტალინმა და თავისთან მიმიხმო:

— საჭიროა იმ დაუმთავრებელი, დაუსახლებელი და სხვა ამგვარი შენობების აღრიცხვის ორგანიზება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევაკუირებული დაწესებულებებისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრი საქმე გაქვთ, მაგრამ ამჯერად ეს უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომაც პირველ რიგში ამ საქმეს შეუდექით. პირველი შედეგების შესახებ მოახსენეთ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩს. ახლა კი შეგიძლიათ წახვიდეთ.

კაბინეტიდან გავედი თუ არა, მაშინვე სტალინის დავალების შესრულებას შევუდექი. პირველ რიგში შევადგინე ოთხი ადამიანისაგან შემდგარი პატარა ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებდა ჩემი მოადგილე, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სამდივნოს ხაზით პროტასოვი. დაუმთავრებელი, დაუსახლებელი და სხვა ამგვარი შენობების გამოსავლენად, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ევაკუირებული წარმოებების განთავსება, საქმეთა მმართველობის თანამშრომელთა სხვა დიდი ჯგუფიც ჩაერთო.

ომის დაწყების პირველ დღეებში სტალინის მიერ მოწვეულ ორ კრებაზე დასწრება და ოქმების ჩაწერა მომიწია. რაც იქიდან განსაკუთრებით დამახსომდა, ეს არის იმ საკითხებზე გაცხარებული მსჯელობა, რომლებზეც ჩვენს უმაღლეს პოლიტიკურსა და ფრონტების სამხედრო ხელმძღვანელობას ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციები არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ამის თაობაზე მიღებული იქნა ძალიან მნიშვნელოვანი და გადაუდებელი გადაწყვეტილება.

ოცდაორ ივნისს ვოზნესენსკისთან ვიზიტის შემდეგ ასევე დოკუმენტებზე სამუშაოდ ვიყავი შესული სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სხვა მოადგილეებთანაც. ძნელი არ არის დარწმუნებულიყავი, რომ ამ ადამიანებს მდგომარეობა ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდათ გაცნობიერებული და მაინცდამაინც დიდად არ იყვნენ შეშფოთებულები. მახსოვს, მაგალითად, სტალინთან გვიან ღამით კრება რომ დამთავრდა, კ.ე. ვოროშილოვის

და გ.მ. მალენკოვის უკან მივდიოდი და მესმოდა, ხმამაღლა როგორ საუბრობდნენ — გერმანელების ეს ომი ხანმოკლე ავანტიურაა, რამდენიმე დღეში აგრესორის სრული მარცხით დამთავრდებაო. დაახლოებით ასეთივე აზრისა იყო მაშინ ვ.მ. მოლოტოვიც.

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩადაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

სტალინის რეაქცია წითელი არმიის მარცხზე

გ.ა. კუმანევი: როგორი იყო სტალინის რეაქცია დიდი სამამულო ომის პირველ თვეებში წითელი არმიის მარცხის გამო?

ი.ე. ჩადაევი: მე უკვე აღვნიშნე, რომ კრიზისულ დღეებში, მათ შორის ფრონტზე კრიზისული სიტუაციის დროსაც, სტალინი საკუთარ თავს შესანიშნავად ფლობდა, იჩენდა თავდაჯერებულობას, სიმშვიდეს, ძალიან დიდ შრომისუნარიანობას. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იყო ნაკლებმომთხოვნი, მკაცრად არ მოსთხოვდა პასუხს იმ ადამიანებს, ვინც, მისი აზრით, დამნაშავე იყო ამა თუ იმ გათვლასა და წარუმატებლობაში. პირიქით, რაც უფრო გაბრაზებული იყო, მით უფრო მკაცრად მოითხოვდა პასუხს და მით უფრო ქმედით ზომებს ღებულობდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვსარგებლობ ჩემი ჩანაწერებით და თვალსაჩინოს ვხდი ამ ყველაფერს კიევის დაცემასა და 1941 წლის ბოლოს ვიაზმასთან მომხდარი კატასტროფის მაგალითზე.

1941 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ძალიან გართულდა მდგომარეობა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე. გაჩნდა მტრის მიერ კიევის აღების საშიშროება. მაგრამ, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის დამცველთა მებრძოლი სული სასწაულებრივად ძლიერი იყო. მათ იმის წარმოდგენაც არ შეეძლოთ, საზღვრის მიტოვება და უკან დახევა მოგვიწევსო.

ჩვიდმეტ სექტემბერს, დღისით, სტალინთან ჩატარდა კრება, რომლის მუშაობაში მეც მივიღე მონაწილეობა. ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მარშალმა ბ.მ. შაპოშნიკოვმა. მის შემდეგ სიტყვა აიღო სტალინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მართალია, ეს ძალიან ძნელია, მაგრამ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გამაგრდეს. ეს კიდევ უფრო ძნელი იქნება მოსკოვთან მიმართებაში... ჩვენ კი რაც შესაძლებელია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა დავეხმაროთ კიევის დამცველებს. მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, უკვე არცთუ ცოტა რამ გაკეთდა — შეიქმნა ბრიანსკის ახალი ფრონტი, რომლის წინაშე ასეთი ამოცანაა — გაანადგუროს გუდერიანის არმია, არ მისცეს სამხრეთისკენ შეტრიალების საშუალება. ხოლო ბრიანსკის ფრონტის მეომართა აქტიური მოქმედება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს კიევის დამცველთა მდგომარეობას.

ბოლოს მიუბრუნდა შაპოშნიკოვს და ჰკითხა:

— საჭირო ხომ არ არის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს შტაბის რეზერვებიდან დამატებით გარკვეული ძალები მივახმაროთ? ახლავე დაუკავშირდით კირპონოს და გაიგეთ, როგორი მდგომარეობაა ახლა იქ?

— გისმენთ! — თქვა შაპოშნიკოვმა და დასარეკად სააპარატურაში გავიდა.

მალე უკანვე შემობრუნდა და მოახსენა, რომ მტერმა კიევის დამცველთა ძლიერი წინააღმდეგობის გადალახვა ვერ შეძლო. მოწინააღმდეგე ახლა თავისი ძალების გადაჯგუფებას ახდენს. ფრონტალური შეტევებით წარმატებებს რომ ვერ მიაღწია, დაიწყო მანევრირება — საბჭოთა ჯარების დაცვის მოწყვლადი ადგილების ძებნა.

— ესე იგი, შტაბის ბრძანება კიევის არდათმობის შესახებ ძალაშია? — ჰკითხა სტალინმა.

— დიახ, — დაუდასტურა შაპოშნიკოვმა, — თუმცა, კირპონოსი ძალიან შიშობს სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სამხრეთი ფლანგის, ანუ კრემენჩუგის რაიონის გამო, სადაც მტერი ახლა გააფთრებით უტევს ჩვენ ჯარს, ამიტომაც კირპონოსი მაინც ჩვენი ჯარის დარტყმისგან გამორიდებას ითხოვს.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ბორის მიხაილოვიჩ, უნდა დავეთანხმოთ თუ არა? — ჰკითხა სტალინმა შაპოშნიკოვს.

— მე მაინც იმ აზრზე ვარ, რომ ვიბრძოლებ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მაგრამ კიევს არ დავთმობ, — უპასუხა შაპოშნიკოვმა.

— მაშინ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ასე გადავწყვიტოთ? — იკითხა ისევ სტალინმა, რაზეც ყველა უსიტყვოდ დაეთანხმა.

* * *

ჩვიდმეტი სექტემბრის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ჩვენი ჯარის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. გერმანელებმა გააძლიერეს თავიანთი ჯარები, რამაც მათ საშუალება მისცა გაემაგრებინათ ალყა საბჭოთა ჯარის ირგვლივ. სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სარდალს — გენერალ-პოლკოვნიკ მ.პ. კირპონოსს ხელიდან გაექცა ჯარის მართვის სადავეები. მეხუთე, ოცდამეჩვიდმეტე და ოცდამეექვსე არმიების გარდა, ალყაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის ოცდამეერთე და ოცდამეთვრამეტე ჯარების ნაწილებიც. დაიწყო ამ ნაწილების ალყიდან არაორგანიზებული გამოსვლა, მაშინ როცა ოცდამეჩვიდმეტე არმიის მებრძოლები კიევის დაცვისთვის ბრძოლას ისევ განაგრძობდნენ.

თვრამეტი ივლისის ღამით წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა უკრაინის დედაქალაქში ბრძანება გადასცა — „შტაბი ნებას რთავს ოცდამეჩვიდმეტე არმიას დატოვოს კიევის გამაგრებული რაიონები და ჯარი გადაიყვანოს დნეპრის მარცხენა ნაპირზე სერიოზული დანაკარგების გარეშე!...“ ამ ამოცანის შესრულება უკიდურესად ძნელი იყო, მაგრამ არ არსებობდა სხვა გამოსავალი. ალყიდან რომ გამოსულიყვნენ, მეზობელი შენაერთებამდე, მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ასობით კილომეტრი უნდა გაევლოთ. გარდა ამისა, დაკარგული იყო კავშირიც. ოც ოქტომბერს ქალაქ ლოხვიცთან ახლოს ალყიდან გამოსვლისას დაიღუპა ფრონტის სარდალი გენერალი კირპონოსი.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166, 174

◎ გვიმრავლოს!

ბათუმში სპორტის სასახლის მშენებლობა იწყება

ბათუმში, ხიმშიაშვილისა და ორბელიანის ქუჩების გადაკვეთაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ზურაბ პატარაძესთან და მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელთან შონ ლეპენთან ერთად სპორტის სასახლის საძირკველში კაფსულა ჩაუშვა.

მშენებლობის ადგილზე გაფორმდა ხელშეკრულება მშენებელ კომპანიასა და სამინისტროს შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, „სპორტმშენსერვისის“ დირექტორმა ლევან ტარყაშვილმა და კომპანია „ბეჰლენ ინდუსტრის“ გენერალურმა დირექტორმა შონ ლეპენმა.

ბათუმში ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა იწყება, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის იქნება განკუთვნილი და ხელს შეუწყობს რეგიონში პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარებას.

სასახლის დიდი დარბაზი 2 500, ხოლო პატარა დარბაზი 600 სტუმარზეა გათვლილი. პროექტი „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება და 2016-2017 წლებში საქართველოში სამი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობას ითვალისწინებს.

პირველ ეტაპზე სპორტის სასახლეები აშენდება თელავში, ბათუმსა და გორში. პროექტის პირველი ეტაპის ღირებულებაა 33 850 000 აშშ დოლარი, ხოლო სრული პროგრამის ღირებულება მეორე ეტაპის ჩათვლით 54 350 000 დოლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს კანადური კომპანია „ბეჰლენ ინდუსტრი“ გაუძღვება. სამი სპორტული ობიექტის მშენებლობა 2016 წლის ოქტომბერში დაიწყება და 2017 წლის ზაფხულში დასრულდება.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ზაზა სასტარტოში და განადგურებული „კლიპერსი“



ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის წინასასეზონო მატჩში ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ შინ „კლიპერსი“ 120:75 გაანადგურა. ზაზა სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 14 წუთი და 52 წამი დაჰყო. ამ დროში ფაჩულიამ გუნდს 1 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი შესძინა. ქართველმა ცენტრმა 2-დან ერთი საჯარიმო ჩააგდო, თამაშიდან კი ბურთი არ უსვრია. „გოლდენ სტეიტში“ ისეთი ვარსკვლავები თამაშობენ, რომ, როგორც ჩანს, ზაზას ამ გუნდში ქულების დაგროვება არ ევალება. მისი მთავარი ფუნქცია ბურთის მოხსნა, პასების გაცემა და ბლოკის დაყენება იქნება.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ლოს ანჯელესელებს არანაირი შანსი არ ჰქონიათ. მატჩში ყველაზე მეტი 30 ქულა „გოლდენ სტეიტის“ მსროლელის კლეი ტომპსონის ანგარიშზეა, ხოლო დურანტმა 21 ქულა მოაგროვა.

„გოლდენ სტეიტი“ მორიგ შეხვედრას ხვალ საკუთარ დარბაზში „საკრამენტოსთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ შეწყალება

შარაპოვას დისკვალიფიკაცია 9 თვით შეუმცირეს

დიდი სლემის ტურნირების 5-გზის ჩემპიონს მარია შარაპოვას დისკვალიფიკაცია 9 თვით შეუმცირეს. აღნიშნულ ინფორმაციას WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. ეს გადაწყვეტილება ჟენევის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ გამოიტანა. შარაპოვას კორტზე გასვლა 2017 წლის აპრილიდან შეეძლება.

მარიამ მცირე კომენტარიც გააკეთა: „ძალიან დიდი მადლობა ჩემს გულშემატკივრებს, რომლებთან ერთადაც გადავიტანე ეს ყველაფერი. ერთი სული მაქვს, კორტზე როდის დავბრუნდები“.

შეგახსენებთ, რომ რუს პრიმადონას აკრძალული პრეპარატის — მელდონიუმის მიღების გამო თავიდან ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს 2016 წლის 25 იანვრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ როგორც მოდიან, ისე მიდიან...

„საბურთალომ“ მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლა

საფეხბურთო კლუბმა „საბურთალომ“ ესპანელი სპეციალისტი პაბლო ფრანკო მარტინი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

როგორც კლუბის პრესსამსახური იტყობინება, „საბურთალოს“ ხელმძღვანელობამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში და მწვრთნელთან კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

გუნდს დროებით ლაშა ნოზაძე და დავით კევლიშვილი გაუძღვებიან, რომლებიც ესპანელი სპეციალისტის თანაშემწეები იყვნენ.

პაბლო ფრანკო „საბურთალოს“ მიმდინარე წლის მარტში ჩაუდგა სათავეში და კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. თბილისური გუნდი მიმდინარე სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული 7 მატჩის შემდეგ 9 ქულით წითელ ჯგუფში მეოთხე ადგილზე იმყოფება, თასის გათამაშებას კი პირველი ეტაპიდან ხარაგაულის „ჩხერიმელასთან“ მარცხის შემდეგ გამოეთიშა.

გიორგი შოთაძე

◎ დაბრუნდება?

მალდინი „მილანს“ ჯერ არ შეთანხმებია, პაოლოს მოთხოვნა აქვს

„მილანის“ ლეგენდარული ფეხბურთელი პაოლო მალდინი მზადაა "როსონერიში“ დაბრუნდეს, თუ კლუბი მას სერიოზულ პროექტს წარუდგენს. Sky Sports-**ის ინფორმაციით, იტალიური გრანდის ხელმძღვანელობამ მალდინის ტექნიკური დირექტორის თანამდებობა შესთავაზა.**

„მართალია, რომ მარკო ფასონეს და მასიმილიანო მირაბელის ჩემს სახლში შევხვდი. მათ ვუთხარი, რომ ჩემი მიზანია მომდევნო ხუთ წელიწადში „მილანი“ კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე კლუბი გახდეს. ჩემი საფეხბურთო ისტორია მაიძულებს, რომ უფრო ღრმად ჩავწვდე ახალი მფლობელების იდეებს და მათ პროექტებს. მე მჭირდება პირდაპირ მათგან მოვისმინო ახალი პროექტის შესახებ. თუ ჩემგან საჭირო გახდება, რომ 24 საათი ვიმუშაო და წელიწადში 365 დღე, მაშინ მინდა ვიმუშაო ნამდვილად სერიოზულ გეგმაზე.

მზად ვარ ჩემი ცხოვრება შევცვალო, საამისოდ კი გადაწყვეტილების მიღებამდე მფლობელებს უნდა ველაპარაკო. მედიაში საუბარი იყო, რომ ფინანსური მოთხოვნები მქონდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. აგრეთვე ითქვა, რომ გამოცდილება მაკლია. მთელი ჩემი ცხოვრება „მილანში“ გავატარე და ტექნიკურ საკითხებში პრაქტიკა მაქვს.

მინდა, რომ ყველაფერი ნათელი იყოს: გადაწყვეტილებას „მილანის“ სასარგებლოდ მივიღებ. თუ დღის ბოლოს ახალი კლუბის ნაწილი გავხდები, ეს ნიშნავს, რომ მფლობელებს ველაპარაკე და მათგან ყველაფერი მოვისმინე. თუ ჩვენ გვინდა, რომ ლიდერი კლუბი გავხდეთ, ერთად უნდა ვიყოთ და ახალი პროექტი გავიზიაროთ. ამჟამად კლუბის შემოთავაზებას არ ვიღებ. პატივისცემას მოვითხოვ, რომელსაც ვთვლი, რომ დავიმსახურე.“ — ციტირებს Football Italia მალდინის სიტყვებს.

„როსონერის“ ახალი მეპატრონეები ჩინელი ინვესტორების სახით ჰყავს და კლუბის ახალი ხელმძღვანელობა მზადყოფნას გამოთქვამს, მომდევნო სატრანსფერო პერიოდში გუნდის გაძლიერებაზე იზრუნოს. ამჟამად „მილანის“ შემადგენლობაში ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეები ასპარეზობენ. ჯერჯერობით უცნობია, მფლობელებს აქვთ თუ არა სერიოზული გეგმა, თუ როგორ უნდა განავითარონ ბოლო წლებში იტალიის ჩემპიონატში საშუალო დონის გუნდად ქცეული „მილანი“. ფაქტი ერთია, მალდინის კლუბის დიდების დაბრუნება სურს და მზადაა მიზნის მისაღწევად ბოლომდე დაიხარჯოს.

ბადრი იაშვილი

შპს ნოვა კრედიტი

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს ნოვა კრედიტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-3 დან მე-5 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ნოვა კრედიტის („ორგანიზაცია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2016 წლის 20 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
მელორი ასათიანი
20 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ ხარატიშვილი
20 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ნოვა კრედიტის მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შპს ნოვა კრედიტი-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარისი და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

მასშტაბის შეზღუდვა-კვალიფიკაცია

ორგანიზაცია არ ახორციელებს, სესხებისა და დარიცხული ჯარიმების შესაძლო დანაკარგების დარეზერვებას. ამასთანავე დასაკუთრებული ქონების აღიარება ხდება სესხის ძირისა და მასზე დარიცხული მოთხოვნების ღირებულებით, რაც შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ღირებულებას.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ნოვა კრედიტი-ს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მართვის ჯგუფი
20 სექტემბერი , 2016 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მართვის ჯგუფი.

შპს ნოვა კრედიტი
ბალანსის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2014	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	898 792	1 261 205
წმინდა სესხები	5	11 789 569	15 120 835
ვადაგადაცილებული დავალიანება	5	2 850 649	4 933 635
მისაღები პროცენტები	5	711 282	756 943
გადახდილი ავანსები	6	157	26 136
გირაოში დარჩენილი ქონება	7	664 420	951 413
სამეურნეო მასალები	8	429	2 941
გადახდილი გადასახადები		590 167	-
მატერიალური აქტივები	9	160 478	163 006
არამატერიალური აქტივები	10	8 020	7 165
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**17 673 963**	**23 223 279**
სულ აქტივები		**17 673 963**	**23 223 279**
ვალდებულებები			
ნასესხები ფულადი სახსრები	11	4 560 531	1 796 175
გადასახდელი პროცენტები		17 478	-
კრედიტორული დავალიანება	12	12 427	3 785
ავანსები	13	211 552	75 724
გადასახდელი გადასახადები		-	629 609
სულ ვალდებულებები		**4 801 988**	**2 505 293**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 765 300	1 765 300
გაუნაწილებელი მოგება		11 106 674	18 952 685
სულ კაპიტალი		**12 871 974**	**20 717 985**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**17 673 963**	**23 223 278**

შპს ნოვა კრედიტი
მოგება-ზარალის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2014 წ.	12 თვე, 2015 წ.
საპროცენტო შემოსავალი	15	2 103 341	3 080 760
საპროცენტო ხარჯი	15	(431 528)	(568 867)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		**1 671 813**	**2 511 893**
შემოსავლები სხვა ოპერაციებიდან	16	690 874	575 402
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	16	693 084	3 556 760
მიღებული ჯარიმები და საურავები	16	4 140 346	6 091 914
საოპერაციო შემოსავალი		**5 524 303**	**10 224 076**
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	17	(1 391 987)	(2 449 145)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**5 804 129**	**10 286 825**
მოგების გადასახადი		(870 619)	(1 543 024)
წმინდა მოგება		**4 933 510**	**8 743 801**

შპს ნოვა კრედიტი
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2014	31.12.2015
წლის მოგება	5 804 129	8 743 801
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(897 790)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**5 804 129**	**7 846 011**
ცვლილებები წმინდა სესხებში	(5 374 701)	(3 331 265)
ცვლილებები ვადაგადაცილებულ დავალიანებაში	(1 474 258)	(2 082 986)
ცვლილებები მისაღებ პროცენტებში	(343 603)	(45 661)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-
ცვლილებები ავანსებში	20 904	(25 979)
ცვლილებები გირაოში დარჩენილ ქონებაში	7 032	(286 993)
ცვლილებები სხვა სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	132	(2 512)
ცვლილებები მოგების გადასახადში	281 038	-
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(579 777)	590 167
ცვლილებები მატერიალურ აქტივებში	(114 583)	(2 528)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(7 853)	856
ცვლილებები ნასესხებ სახსრებში	3 002 186	(2 764 356)
ცვლილებები გადასადელ პროცენტებში	14 786	(17 478)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	11 753	(8 642)
ცვლილებები ავანსებში	169 722	(135 828)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	629 609
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 416 908**	**362 414**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდის გაცემა	(72 960)	
წინა წლის კორექტირება	(576 734)	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(649 694)**	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	767 214	362 414
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	131 578	898 792
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**898 792**	**1 261 206**

შპს ნოვა კრედიტი
კაპიტალის მოძრაობის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 765 300**	**5 952 238**	**7 717 538**
წმინდა მოგება/(ზარალი)		5 804 129	-
დივიდენდის გაცემა	-	(72 960)	-
წინა წლების კორექტირება		(576 734)	-
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 765 300**	**11 106 674**	**12 871 974**
წმინდა მოგება/(ზარალი)		7 846 011	-
დივიდენდის გაცემა	-	-	-
წინა წლების კორექტირება		-	-
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 765 300**	**18 952 684**	**20 717 984**

მუსიკა გულის ფორმის მოწყობილობებში

ტელეკომპანია „არტარეას“ საგამოფენო სივრცე პროექტს „Love Song“ მასპინძლობს. გულის ფორმის ხმის ჩამწერი მოწყობილობები, რომელიც არტარეას საგამოფენო სივრცეში განთავსდა, დამთვალიერებელს შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსების ნამუშევრებს მოუსმინოს ერთი თემის – სიყვარულის შესახებ.

პროექტი ოთხი ბელგიური სახელოვნებო ორგანიზაციის – ChampdAction, M HKA, (ანტვერპენის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი) deBuren, და Objectif Exhibitions ინიციატივით შეიქმნა და ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არტისტების მიერ გულის ფორმის მოწყობილობებში სიმღერის ჩაწერას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში, მუსიკოსები მათ მიერ ჩაწერილ სიმღერებს უკან უგზავნიან ორგანიზატორებს, რის შემდეგაც ისინი სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში ინაცვლებს.

„Love Song-ის“ პრეზენტაცია პირველად, 2014 წელს შედგა ანტვერპენის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (M HKA), სადაც გულის ფორმის მოწყობილობებში 300 არტისტის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. წელს საერთაშორისო პროექტს ქართველი არტისტებიც შეუერთდნენ და სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსებთან ერთად დამთვალიერებლებს ნიკა მაჩაიძის, გიორგი ნებიერიძის, მიშო ჯავახიშვილის, მიშა მდინარაძის, TeTe Noise-ის, ზვიად ბოლქვაძის, ნატალია ბერიძის და სხვა მუსიკოსების მოსმენის შესაძლებლობაც აქვთ.

„Love Song“ „არტარეა გალერეაში“ 1 ნოემბრამდე დარჩება. პროექტი ტელეკომპანია „არტარეას“ კურატორობით ხორციელდება.

ხსოვნა

გურამ ტატიშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი გურამ ტატიშვილი. ის მრავალი წლის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის გამგე, აგრეთვე საქართველოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ქირურგიაში. ის წლების განმავლობაში აქტიურ ქირურგიულ მოღვაწეობას ეწეოდა მისი თაოსნობით აშენებულ კლინიკაში და სიცოცხლე შეუნარჩუნა მრავალ ავადმყოფს.მან შექმნა და აღზარდა ქირურგთა არაერთი თაობა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს, რუსეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ქირურგიულ სამსახურებში. ის არის ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების, ის არჩეული იყო ექიმთა სხვადასხვა საზოგადოებებისა და ასოციაციების საპატიო წევრად და დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მისი ძალისხმევით მოხერხდა აკადემიკოს გ.მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების მუშაობის აღდგენა, რომლის თავმჯდომარეც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე თავად იყო.მისი თაოსნობით დაარსდა ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“, რომლის რედაქტორიც სიცოცხლის ბოლომდე გახლდათ. დიდია მისი წვლილი საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიოს მეცნიერებათა აკადემიების საბჭოს ნაციონალურ წევრად აღიარების საქმეში. პროფესორ გურამ ტატიშვილის ცხოვრება ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ წარმოებული უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია. მისი სახელი დიდხანს დარჩება საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ხსოვნაში..

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, საქართველოს კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის საპატიო პროფესორი და ამავე ასოციაციის საპატიო წევრი, აკადემიკოსი

გურამ ტატიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რადიოლოგთა, ონკოლოგთა და თოროკალურ ქირურგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის და დასტაქრის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის, ქირურგთა არაერთი თაობის აღმზრდელის, ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორის, დიდი მამულიშვილის, აკადემიკოს

გურამ ტატიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

არჩილ გოგელია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რეზო ჯიჯეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 6 X, 15 სთ. გ. ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი პეროვსკაია) №7.

ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

მანანა გაზდელიანი

პანაშვიდი 6, 7 X, მისამართი: ფანასკერტელის ქ. №6, III სადარბაზო, VI სართული. გამოსვენება 8 X, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

ხანძარი თბილისში

ძველ თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელ სახლში ცეცხლი გაჩნდა.

როგორც მედიანიუსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, დამწვარია 80-100 კვ. მეტრი ფართობი. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე 6 სახანძრო მანქანა მუშაობდა. როგორც თვითმხილველმა განაცხადა, ცეცხლი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, 90 წლის მოხუცის საცხოვრებელ სახლში გაჩნდა და ხის აივნიდან სახლის მეორე სართულზეც გადავიდა. სახლის პირველი სართული მთლიანად დამწვარია.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ მხატვრობა

პორტრეტების „განსაწმენდელის“ გზა

ნიკო ფიროსმანის ორ შედევრს — „შოთა რუსთაველსა“ და „თამარ მეფეს“ ამ დღეებში „მეორე სიცოცხლის“ განსაწმენდელი ეწყება — ორიოდე დღის წინათ დიდი მხატვრის სახელობისვე თბილისის მუზეუმში რამდენიმესაათიანი გამოფენისა და მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, ისინი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეგზავნა, სადაც შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტები ნანა მანაგაძე და ეველინა კარსელი მათ რესტავრაციას ჩაუტარებენ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ნიკო ფიროსმანაშვილის ამ ორი ქმნილების რესტავრაცია, რომელიც მუდმივად მხატვრის მშობლიური მირზაანის მუზეუმის კოლექციაში ინახება, თიბისი ბანკის დაფინანსებით განხორციელდება. რესტავრაციის პროცესი სამ თვეს გაგრძელდება, რის შემდგომ ორივე შედევრი თიბისი გალერეაში მირზაანის მუზეუმში დაცულ მხატვრის ნამუშევართა სრულ კოლექციასთან ერთად იქნება გამოფენილი.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედების მკვლევართა აზრით, თამარ მეფე და შოთა რუსთაველი, ზოგადად, მხატვრის ერთ-ერთი გამორჩეული თემაა, რადგან მათი არაერთი პორტრეტი აქვს შექმნილი, რომელიც სხვადასხვა კოლექციაშია დაცული.

ამ ორი სარესტავრაციოდ გამზადებული ნამუშევრის ისტორიის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები არსებობს: 1948 წლიდან ისინი ფილოლოგ იოსებ მეგრელიძისა და მისი მეუღლის, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის ოჯახში ინახებოდა. 1989 წელს ცოლქმარმა ნახატები ხალხთა მეგობრობის მუზეუმს გადასცა, რის შემდეგ მათ ბინა მხატვრის მირზაანის მუზეუმის ექსპოზიციაში დაიდეს.

პორტრეტების შესწავლა უკვე დაიწყო, შედგენილია სარესტავრაციო სამუშაოების დეტალური გეგმა, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საბჭოს წევრთა ზედამხედველობით განხორციელდა.

2016 წელი იუნესკოს მიერ შოთა რუსთაველის წლადაა გამოცხადებული, თუმცა კი, სამწუხაროდ, ამ თარიღის თუნდაც მოკრძალებულად აღნიშვნის თაობაზე აგერ ოქტომბრამდე ჩვენს საზოგადოებრიობას არც არაფერი სმენია. ამიტომ ესეც დიდი მადლია, რომ ქართული ლიტერატურის სიამაყის სახელს ამით მაინც მიეგება პატივი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ანეკდოტები

— არჩევნებზე თუ იყავი?

— ვიყავი.

— ვის მიეცი ხმა?

— არ გეტყვი, თორემ არ ამისრულდება.

* * *

სამახსოვრო:

შენი საუკეთესო მეგობარი ის არის, ვინც ბოლოს გიღალატებს.

* * *

— ძვირფასო, რა გინდა დაბადების დღეზე რომ გაჩუქო?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო კარგო! მთავარია, რომ ბეწვი ლამაზად ირეკლებოდეს ბრილიანტებში!

* * *

გახსოვდეთ: ყველა მიქსტურაში მთავარი სამკურნალო კომპონენტი — ესაა სპირტი. სწორედ ის ხსნის გაცივებას. ყველა დანარჩენი მდგენელი — მხოლოდ გემოს მიმცემი დანამატია.

* * *

— იცი, ფოცხვერებზე მეტად სმენა ქალებს აქვთ განვითარებული?

— რა იცი?

— რა ვიცი და, მაგალითად, ჩემ ცოლს ისიც კი ესმის, ნოხზე როგორ ვაფერფლებ!

◎ ყველაფერი ყველაფერზე

კიმ კარდაშიანს მილიონის ძვირფასეულობა მოჰპარეს



ცნობილი სომხური წარმოშობის ფოტომოდელი კიმ კარდაშიანი დედასთან და ასევე პოპულარულ დებთან ერთად, პარიზის მოდის კვირეულზე იმყოფებოდა.

ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში ყოფნისას კიმს პოლიციის ფორმაში გადაცმული ხუთი მძარცველი თავს დაესხა და იარაღის მუქარით ძვირფასეულობა წაართვა. როგორც მისმა აგენტმა განაცხადა, სამკაულების ღირებულება რამდენიმე მილიონს აღემატებოდა.

ფოტომოდელი არ დაშავებულა, თუმცა ძალიან შეშინებულია.

მისი რეპერი მეუღლე კენი უესტი ამ დროს ნიუ-იორკში კონცერტს მართავდა. როცა მას ეს ამბავი ყურში ჩასჩურჩულეს, რეპერი პირდაპირ სცენიდან გაიქცა. ცნობილი წყვილი 2012 წლიდან არიან ერთად.

ვარსკვლავთა განქორწინება აქტუალობას არ კარგავს

ბოლო დღეებში ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის განქორწინების ამბავზე მთელი მსოფლიო ჭორაობს. ახალ თემად მასმედიამ მათი ქონების გაყოფის საკითხი წამოჭრა.

ცნობილია, რომ წყვილი მსოფლიო მასშტაბით 12-უძრავი ქონების მფლობელია. შვიდი მათგანი პიტს ეკუთვნის, ორი კი ჯოლის, დანარჩენი სამი: მამული საფრანგეთში, სახლი ახალ ორლეანში და ბინა ნიუ-იორკში ერთად ყოფნის დროს შეიძენეს. თუმცა, იმ დროს წყვილი ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. ისინი 2014 წელს დაქორწინდნენ.

საქორწილო კონტრაქტის მიხედვით, წესით და რიგით, ქონებაზე არ უნდა იდაონ და უკომფლიქტოდ უნდა გაიყონ, მაგრამ რამდენად მოახერხებენ ამას, ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მათი განქორწინების მთავარ საკამათო თემად, ისევ შვილებზე მეურვეობის საკითხი რჩება.

რას ვსუნთქავთ?!

დედამიწის ჰაერი სიცოცხლისთვის საშიშია! აცხადებენ მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციები.

კვლევებმა აჩვენეს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 92% ცხოვრობს ისეთ ადგილას, სადაც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ბევრად აღემატება დასაშვებ ზღვარს.

წელიწადში საშუალოდ 6 მილიონი ადამიანი იღუპება ამ პრობლემის გამო.

დედამიწაზე ჰაერის 90% დაბინძურებულია!!!

სპეციალისტებმა ეს დასკვნები, მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა ადგილას განთავსებული 3000 სპეციალური მოწყობილობის და თანამგზავრის საშუალებით დაადგინეს.

მეცნიერები აგრეთვე ასკვნიან, რომ ქუჩაში სპეციალური სამედიცინო ნიღბით სიარული გამონაბოლქვისგან საერთოდ ვერ გვიცავს. ვერც დახურულ შენობაში ყოფნა მოგვცემს რაიმე შელავათს, როდესაც ქალაქი მთლიანად გამონაბოლქვშია გახვეული. განვითარებად ქვეყნებში კი ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას...

სამწუხაროდ, საქართველო ამ თვალსაზრისითაც განვითარებადი ქვეყანაა.

მოამზადა რუსუდან ძოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3341; ევრო - 2.6063;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9771;
100 რუბლი - 3.7342; თურქული ლირა - 0.7686;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4498;
1000 სომხური დრამი - 4.9336.

ამინდი 6 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +25
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +26
თბილისი:	ღამე +13,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE